

კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e).

№ 11 (18)

6 თ ე მ ა ბ ე რ ი 1938

№ 11 (18)

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ჰაიდარ ბაშმატი — რეპრესიები კავკასიელ პატრიოტების მიმართ
ოსმალეთში

შ. ამირეჯვაბი — საქართველო და კავკასია

ვლ. ახმეტელი — ერთა თვითგამორკვევის უფლება იმარჯვებს

რ. გაბაშვილი — პოლიტიკა და პატრიოტიზმი

ი. გვარამაძე — ათათურქი

გიხ. კედია — ლია წერილი ბ-ნ მიხეილ წერეთელს

** — მენშევიკური ლამენტაციები

გ. ჯაყელი — ბ-ნ მიხეილ წერეთლის აღსარება

მელ. ულენტი — სადლეგრძელო

დ. — გადარჩენილი ლექსები

რეპრესიები ოსმალეთში

გრ. დიასამიძე — წერილი რედაქციის მიმართ

ნოემბერი 1938

რეპრესიები კავკასიელ პატრიოტების მიმართ
ოსმალეთში

ოსმალეთის მთავრობის დეკრეტით, 6 ენკენისთვის თარიღით, ის-
მალეთის ქვეშევრდომობა აეყარა და გადასახლებულია რამდენიმე
ცნობილი წარმომადგენელი კავკასიისა და თურქისტანის ემიგრაციისა.
ამათთან ერთად, ასევე მძიმედ დაისაჯნენ, გაუგებრობით, ისეთი

პირებიც, რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონდათ პოლიტიკა-სთან.

მთელი ამ საქმიდან და დეკრეტის შინაარსიდგანაცა სჩანს, — ისე რომა ჰერც კილოთი და რედაქციით საბჭოთა გაცვეთილ ბრალდებათ მათ მსხვერპლთა მიმართ, — რომ ეს აღმინისტრატიული ზომები ჩვენ ამხანაგთა წინააღმდეგ, მიღებულია მოსკოვის გავლენით.

ჩვენ არ დავიწყებთ არც ჩივილს, არც თავის მართლებას, მაგრამ არ შეგვიძლია არ მიუთითოთ სრულს უსაბუთობაზედ წამოყენებული ბრალდებისა.

დეკრეტში ლაპარაკია არა რომელიმე გარკვეულად ჩადენილ და-ნაშაულზედ, არამედ ბუნდოვან „ცდაზედ, — გადაექციათ ჩვენი ქვე-ყანა პროპაგანდის ბაზად, რევოლუციონური და დაზვერვის ორგანი-ზაციისა, რომელიც მოქმედებდა ერთ ჩვენ მეგობარ სახელმწიფოს წი-ნააღმდეგ“.

რამდენადაც ვიცით, არ არსებობს ფაქტიურად არაფერი, რასაც შეეძლოს დამტკიცება ასეთი „ცდის“ სინამდვილისაც.

ამ გადასახლებულთა რიცხვში არა პოლიტიკურ პირთა ყოფნა და ისეთი ერთი პირის დასახელებაც, რომელმაც დიდი ხანია დასტოვა-ოსმალეთი, მაჩვენებელია, რომ ჩვენი ამხანაგები საბჭოთა მაქინაციე-ბისა და ინტრიგების მსხვერპლნი შეიქმნენ.

ჩვენი იდეური ბრძოლა საბჭოთა წინააღმდეგ, კავკასიის თავისუ-ფლებისა და დამოუკიდებლობისათვის არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს. ჩვნ ვაწარმოებთ ამ ბრძოლას ახდილად, უნილაბოდ ყველა ქვეყნებში და ვცდილობთ ბოროტად არ ვისარგებლოთ ამათი სტუმართ მოყვარეობით, არ დავარღვიოთ ამათი კანონები და საერთაშორისო ხელშეკრულებანი.

ასეთივე იყო ჩვენი მეგობრების მოლვაწეობა ოსმალეთშიაც.

ნამდვილი მიზეზი ოსმალეთში მომხდარი სამწუხარო გაუგებრო-ბისა, ვფიქრობთ, უნდა ვეძიოთ არა მათს არალეგალურ აქტივობაში, არამედ საერთოდ პოლიტიკურ მდგომარეობაში:

საბჭოთა მმართველობა, მრავალი წლების განმავლობაში ანკარას-თან „გულითადი“ მეგობრობის მაღისრებელი და პოლიტიკურად და ეკონომიკურად მასთან შეკრული, აგერ რამდენიმე ხანია შიშით უყუ-რებს უკანასკნელის ევოლუციას საგარეო პოლიტიკაში, რომელიც თან-დათან შორდება რუსეთის გავლენას. შინაგან დაჭიმულობასთან ერ-თად, დიპლომატიური დამარცხებანი შორეულ აღმოსავლეთსა და შუა ევროპაში აძლიერებს მოსკოვის ნერვიულობას და გონებას ურყევს... თვალუწვდენ საბჭოთა კავშირის არეზედ ყველგან შეთქმულობა და აჯანყება ელანდება, ყველგან ეძებს და „პოულობს“, — ძროხის მწვე-ლელისა და ვეტერინარიდან დაწყობილი, სახალხო კომისრებსა და საბჭოთა მარშლებამდე — „დივერსანტებსა“ და „ფაშისტების აგენ-ტებს“... თავისი სახელმწიფოსი და პიროვნული ბედის გამო პირუტყ-ვულ შიშის ატმოსფეროში, რომელშიცა სცხოვრობენ კრემლის ბატო-

ნები, — დიპლომატიური ჩივილი და წარდგენანი საბჭოთა პოლპრე-
დისა ანკარაში, ადვილი გასაგებია.

ჩვენ მხოლოდ ვწუხვართ, რომ ოსმალეთის მთავრობა საჭიროდა
სთვლის გაუწიოს ანგარიში საბჭოთა ისტერიკას და ერთგვარი მორა-
ლური დაკმაყოფილება მისცეს... კავკასიელ პატრიოტების ხარჯზედ.

ჩვენა ვფიქრობთ, რომ თვით ოსმალეთშიაც არა პოპულიარულ
ამ აქტში, საჭიროება დიდი აღარ იყო. ერთ დროს საჭირო მეგობრობის
აუცილებლობა საბჭოებთან — წარსულია. არავითარ რეალურ საში-
შროებას ოსმალეთისათვის, მოსკოვი აღარ წარმოადგენს... მაგრამ ეს
უკვე ჩვენს კომპეტენციას სცილდება. არ შეიძლება არ ითქვას, რომ
15 წლის არსებობაში, ოსმალეთის რესპუბლიკას არც ერთი დიდი შეც-
დომა არ ჩაუდენია.

თუ ანგარის მთავრობამ, —სახელმწიფო უმაღლესი ინტერესით,—
სასარგებლოდა სცნო ჩვენი ამხანაგების განდევნა ოსმალეთიდან, ჩვენ
რა გვეთქმის: მთავრობა თავის უფლებას ანხორციელებს და ვალდებუ-
ლი არ არის ჩვენ გვაძლიოს განმარტებანი. პოლიტიკური მიმართულე-
ბა, რომელსაც ეკუთვნიან ჩვენი ამხანაგები ერთ-ერთ პრინციპად თავი-
სი პოლიტიკური დოქტრინისა სთვლის მძლავრი და მეგობრული ოსმა-
ლეთის არსებობას. ჩვენს ანგარიშში არ შედის ისეთი საქმიანობა,
რომელიც არღვევდეს საგარეო განწყობილებასა თუ შინაგან წესებს
მეზობელ და ჩვენთვის მეგობრულ სახელმწიფოსას.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ბრძოლა სამშობლოს განთავისუფლებისა-
თვის რუს ოკუპანტებისაგან, მოითხოვს მრავალ მსხვერპლს. ამისთვის
მზათა ვართ, მაგრამ რა არის აქ, საზღვარგარედ მყოფთა მსხვერპლი,
შედარებით იმ სისხლისა და ცრემლის ზღვასთან, რომელშიაც იღრჩო-
ბიან და იტანჯებიან ჩვენი ერები. ჩვენი ამხანაგების გადასახლება დიდი
მორალური მარცხია ჩვენთვის, მაგრამ ეს მარცხი იოტის ოდენადაც
ვერ შესცვლის ჩვენს ენერგიას აღებულ ბრძოლის გზაზედ.

მაგრამ, ოსმალეთის მთავრობის დეკრეტში არის ნახმარი გამოთქ-
შა, რომლის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებთ მთელი ჩვენის არსებით.
დეკრეტში ლაპარაკია „რევოლუციონურ და დამზვერავ ორგანიზაცია-
ზედ, მეგობარ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მეორე სახელმწიფოს სასარ-
გებლოდა და ხარჯზედ“.

კავკასიელ და თურქისტანელ დასჯილ მოლვაწეთ, თავის სამშო-
ბლოს პატრიოტებსა, რომელთა სახელები მჭიდროდაა გადანასკვული
კავკასიისა და თურქისტანის ბრძოლასთან თავისუფლებისათვის — დი-
დი ხანია იცნობს ოსმალეთის საზოგადოებრივობა. მათი მოლვაწეობა
ახდილად სწარმოებდა, მათი საჯარო გამოსვლები და ნაწერები აღვი-
ლად მისაწვდომი და განსახილველია. წარსულ, უფრო ბედნიერ წლე-
ბში მათ, როგორც ოფიციალურ წარმომადგენელთ თავისი ქვეყნებისა,
მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულებანიც დაუდიათ
ოსმალეთთან. ამ საერთაშორისო აქტებს, ჩვენის აზრით, ღირსეული
ადგილი უჭირავს, როგორც ოსმალეთის ისე ჩვენი ქვეყნის ახალ ისტო-



რიაში. ესენი მუდამ იყვნენ და დარჩნენ ოსმალეთთან მეგობრობის მოუკირიცხვას მხრენი.

ამ ხალხისათვის ბრალდების წაყენება, რომ თავიანთ პოლიტიკურ მუშაობაში ხელმძღვანელობენ არა ეროვნულ-პოლიტიკური მოსაზრებით, არამედ მუშაობენ ოსმალეთის „მეგობარ“ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მეორე სახელმწიფოს სასარგბლოდ — მძიმე შეურაცხოფა არის.

ჩვენ არა ვსცნობთ არც ოსმალეთისა და არც სხვა რომელიმე სახელმწიფოს უფლებას, ასეთი დაუმსახურებელი და სამარცხვინო ბრალდების წაყენებისას ამ, ეროვნულ მოვალეობის რაინდებისათვის.

6 ენკენისთვის დეკრეტის ხელის მომწერ ისმალი შინისტრთა შორის, არიან პირნი, რომელთა ბეღი მეტადა ჰგავს ჩვენსას. მათ შორის არიან რევოლუციონერები, რომელთაც იგემეს ლტოლვილობა და მსხდარან ინგლისურ ციხეში მაღტაზედ. არიან ისეთნი, რომელნიც თამაშობდნენ როლს არ არსებულ „ოსმალეთის კომუნისტურ პარტიის დელეგატებისას“ და ეძებდნენ ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას თავისი სამშობოსათვის, უმეტეს წილში მტერთა ჯარებით დეჭერილისათვის...

იყვნენ ისეთნიც — და ბევრნი, — რომელნიც ახლო წარსულში მეგობრები და ნათესავები, ეძახდნენ მათ „ბანდიტებს“, „ავანტიურისტებს“ და ბრალსა სდებდნენ მუშაობაში... „სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ და ხარჯზედ“... და როგორი სხვა სახელმწიფოსი! სახელმწიფოსი, რომელიც 200 წელიწადი შთამომავლობით მტრად იყო მათი სამშობლოსი...

სწორედ ამ დროს, ეს „ბანდიტები“ და „ავანტიურისტები“, ჩვენთვის ეროვნული გმირები იყვნენ, ნამდვილი გამომხატველნი ოსმალეთის ხალხის ნებისყოფისა. მათი სულის სიმაღლისა და მსხვერპლის წინაშე ჩვენ მუხლს ვიდრეკდით. ჩვენ ვხედავდით მათში ოსმალეთის მომავალ მხსნელებს და უკანასკნელ რაინდებს.

ისტორიამ გაამართლა ჩვენი რწმენა და იმედები.

მაგრამ ასეთი შეხედულობისათვის ამ ხალხზედ და მათს წმინდა საქმეზედ ჩვენ არ გვიცდია ათათურქისა და ინონუს გამარჯვებამდე სისხლით გაუღენთილ ანატოლიის ველებზედ, ან ბრწყინვალე დიპლომატიურ გამარჯვებამდე ლოზანასა და მონტრეში.

გაშინ, როდესაც მრავალმა სულმოკლე მათმა თანამემამულემ პირი იბრუნა მათგან, ჩვენ ახდილად უცხადებდით სიმპატიას და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით მორალურად.

1919 წლის შემოდგომაზედ, როცა სტამბოლის სულთან-ხალიფის მთავრობისაგან მოტყუებული ერთი წრე ჩერქეზებისა, ანზავურის მეთაურობით, ჩაერია ანტიეროვნულ ავანტიურაში, ჩვენ დავგმეთ მისი საქციელი და ცხადად მოვთხოვეთ შეერთებოდნენ იმ ჩვენ მოძმეებს, ძველ ემიგრანტებს, რომელნიც პირველი დღეებიდანვე ამოუდგნენ გვერდში ათათურქს.

სამშვიდობო კონფერენციაზე და შემდეგ პარიზში, ოფიციალურ

და ოფიციოზურ ჩვენს ნაბიჯებში არასოდეს გაგვიშვია შემთხვევა თანაგრძნობისა, ოსმალეთის ეროვნულ ბრძოლის მიმართ...

ეს ბუნებრივად ხდებოდა. ვმოქმედობდით არა მარტო სიყვარულით ოსმალოს ხალხისადმი, ამას გვიკარნახებდა კავკასიის პოლიტიკური კონცეპციაც.

ამისათვის მადლობას არავისგან ვითხოვთ, მაგრამ უფლება გვქონდა გვეფიქრა, რომ იმ საბუთში, რომელსაც ხელს აწერს ოსმალეთის სამინისტროს მთელი შემადგენლობა, — გინდ „მეგობარ“ სახელმწიფოს ხათრით, — არ მოგვიხსენიებდნენ, როგორც უცხოელების დამზვერ აგენტებს, სწორედ ის პირნი, რომელთაც სულ ახლო წარსულში, საკუთარ მაგალითზე იგემეს მთელი სიმწარე ჩვენი აწინდელი ეროვნული დრამისა.

ჰაიდარ ბაშატი



საქართველო და კავკასია

„თეთრი გიორგი“-ს უკანასკნელ ნომერში, ბ. მიხეილ წერეთელი ვრცელ განმარტებას აძლევს თავის თანამოაზრე-შემკითხველებს, თუ რა იყო მიზეზი, რომ მან უურნალ „კავკაზ“-ში მუშაობას თავი დაანება.

ბევრ საყურადღებო დებულებათა გარდა, რომელთა გამო მსჯელობა კავკასიური პრობლემის გამორკვევისათვის უსარგებლო არ იქნებოდა, ბ. მ. წერეთელი ბევრ ისეთ აზრებსაც გამოსთქვამს, რომლებიც თითქოს იმ უდიერ კამათს ადასტურებდეს, რამაც უამისოდაც და გაცალებით მასზედ ადრე, სავსებით შერყვნა არა მარტო „კავკაზ“-ის შეხედულებანი, არამედ, ვიტყვი, სავსებით გარყვნა მთელი ქართული პოლემიკაც ემიგრაციაში.

„კავკაზ“-ში მონაწილე ქართველებს აქამდის გვეკამათებოდა ისეთი ეთიკის ხალხი, რომელმაც თუ თავიდგანვე „მოლალატე“ და „გამყიდველი“ არ გიწოდა, კაცმა რომა სთქვას, სათქმელი და დასამტკიცებელი არაფერი აქვს. მე არავითარი სურვილი არა მაქვს ბ. მ. წერეთელი მათ რიგში ჩავაყენო. განსხვავება და მსგავსება მათ შორის ერთნაირად დიდია. პირველები მხოლოდ ჩვენი, „კავკაზ“-ში მომუშავე ქართველების ლანძღვით იოხებენ თავიანთ „პატრიოტულ“ გულს და თვით კავკასიური პრობლემის რთულ სიძნელეზედ ერთ სიტყვასაც არა ხარჯავენ; ბ. მ. წერეთელი, როგორც ადამიანი მათზედ მეტად გამოცდილი და პოლიტიკურ საკითხებში უკეთ ჩახედული, ლაპარაკობს სწორდ ამ კავკასიურ პრობლემის სიძნელეზედ. განსხვავება ეს არის, და უკვე ეს არის დიდი ნაბიჯი, გადადგმული წინ, ამ უდიერ პოლემიკაში.

მაგრამ არის მსგავსებაც, და გამოიხატება შემდეგში: როგორც ამ

უდიერი პოლემიკის ავტორებს, ისე ბ. მ. წერეთელსაც ჰგონია, რომ კავკასიური პრობლემის თანდაყოლილი ნაკლი, ჩვენი, „კავკაზ“-ში მომუშავე ქართველების საკუთარი ნაკლია. ამ დარგში ყველა ეს ჩვენი კრიტიკოსი იმ შეუსაბამობამდის მიღის, რომ ბრალსა სდებენ ზურაბ ავალიშვილს იმის გამო, რომ ოსმალეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი წაიღო და ბოდიშსა ხდიან ნოე უორდანიას, რომელმაც ეს ნაწილები თვით გაუბოძა ოსმალეთს.

ბ. მ. წერეთელი ბრძანებს: „კავკაზ“-ის მიმართულება „აღშფოთებას იწვევს მრავალ ქართველთა და სხვა კავკასიელთა შორისაც“-ო.

ვინ არიან ეს „აღშფოთებული“ ქართველები — ბ. მ. წერეთელი არ ამბობს და, ჩემის აზრით, კარგსაც სჩადის.

ასეთ „აღშფოთებულ“ ხალხს რომ გავყვეთ, ის შეხედულობაც უნდა გავიზიაროთ, რომ ქართულ ეროვნულ აზროვნებას და ქართულ პოლიტიკურ ეთიკას მხოლოდ ეს ხალხი უნდა ჰქმნიდეს და ზურაბ ავალიშვილს უფლებაც არ უნდა ჰქონდეს საქართველოზედ სწეროს და მის მომავალზედ იზრუნოს. ან მხოლოდ 16—18 საუკუნეთა ქართულ მწერლობაზედ ლაპარაკობდეს, რომელსაც ბ. მიხ. წერეთელი, სულერთია, ქართული ეროვნული კულტურის დარგად არა სთვლის.

განა გასაოცარი არ არის, განა ესეც „კავკაზ“-ში მომუშავე ქართველობის ბრალია, რომ პროფესორი და საქართველოს წარსულის მკვლევარი ბ. მ. წერეთელი, ქართველი ერის მთელი სამი საუკუნის გონიერობის შემოქმედებას გადასაგდბად აცხადებს იმ მოსაზრებით, რომ იგი სპარსული გავლენის შედეგი ყოფილა. ბ. მ. წერეთელი ამას იმავე წერილში ბრძანებს.

მაშასადამე „კავკაზ“-ში მონაწილე ქართველების „აღმაშფოთებელი“ საქციელი აქ არაფერ შუაშია. ყოფილან ისეთი გუნების ქართველები, რომელთაც უკვე ჩვენამდის არა სწამებიათ ბევრი რამ: ფაქტი, ისტორია, ერთა დამოკიდებულება, ერთა ურთიერთზე გავლენა და სხ.

განა გავლენის არჩევანი მუდამ თვით ერზედა ჰქიდია? ჩვენი მეზობელი ერთ დროს დიდი ბიზანტია იყო. ჩასა ნიშნავს ისტორიაში რაღაც ოთხას-ხუთასი წელიწადი?! მაგრამ სიზმარსა და არაკს გვაგონებს ის ამბავი, თუ რა სწრაფად შესცვალა ეს ბრწყინვალე ბიზანტია ოსმალეთმა. წადით და ამის შემდეგ თქვენის გუნებით მეზობელი და „გავლენა“ აირჩიეთ!...

მაგრამ საქმე არც ეს „დაუპატიუებელი“ გავლენაა. საქმე ის არის და ქართველობის კულტურული უნარი იმან გამოხატა სწორედ, რომ არას დროს და არა გარემოებაში, მისი შემოქმედებითი ნიჭი მკვდრად არ დებულს. არსებობს სხვა გარემოებაც. ლიტერატურულ შემოქმედებას, ორიგინალურს თუ წაბაძეითს, მთელი ერი ერთად არსად არ მისდევს. ყველგან და ყოველთვის ასეთი შემოქმედი წრე — მცირე და ვიწროა. რამდენი იყო და არის დღესაც ქართველი, რომელიც არავითარ კულტურას არ ჰქმნიდა და არა ჰქმნის. მაგრამ თუ ბ. მ. წერეთლის მსჯელობას გავყევით, გამოდის, რომ კარგი ყოფილ ლუარსაბ თათქა-

რიძე, რომელიც არავის ჰბაძავდა და ულრან ქართველად მოკვდა და ვერაფერი და შეიძლება მავნე ქართველიც იყო ილია ჭავჭავაძე, რომ-ელმაც „კაცია-ადამიანი?!” უცხო ლიტერატურის წაბაძვით დასწერა. ვლაპარაკობ ახალ სამწერლო უანრის შემოღების შესახებ და არა უკვდავი თხზულების მტკნარი წაბაძვით დაწერაზედ.

ასეთი ეროვნული რიგორიზმი განსაკუთრებით აუტანელი ხდება, როცა იგი კავკასიის ერთა დამოკიდებულების სფეროში გადაგვაქვს. ყველამ იცის, რომ უურნალი „კავკაზ“-ი კავკასიის ერთა კონფედერაციის იდეას ქადაგებს. როგორი იქნება ეს კონფედერაცია — ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს, სხვათა შორის იმ მოსაზრებითაც, რომ ასეთი ძირითადი საკითხი თვით ჩვენმა ერებმა უნდა გადასჭრან. მაგრამ ზოგი რამის წინასწარი თქმა ეხლავეც შეიძლება. კავკასია კონფედერატიულ ქვეყანად ვერ იქცევა, თუ მაგალითად მისმა სამმა ერმა უთხრა მეოთხეს: ჩვენ სამმა ასე გადავწყვიტეთ და შენ, მეოთხე, გინდა თუ არა, ამას უნდა დაეთანხმოვო. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი კონფედერაცია, თუნდა ეს კონფედერაცია სულ ახალის სახისა იყოს, საღაც ყველა ჩვენი ოთხი ერი ისე მოეწყობა, როგორც ამას მისი ისტორია, ზნე და ბუნება მოითხოვს. ერთი სახელმწიფო, ერთი რეუიმი, ერთი მთავრობა კავკასიაში არ გამოდგება. ასეთ საბედისწერო ცდას, შესაძლებელია, ის მცირე ერთობაც ზედ გადავავოთ, რომელსაც ჩვენ დღეს ასეთის ვაი-ვაგლახითა ვქმნით და რისთვისაც ქვეყანა ზედ გვესევა.

მთამ რომ თავისათვის რესპუბლიკური წესი შემოილოს, მე ეს არ გამიკვირდება, ჩვენ გვყვანან ისეთი განათლებული და კეთილშობილ „კავკასიელი“ მოწინააღმდეგენი, რომლებიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენ მთიელებს ზემოდან დასცემერიან, ხოლო რესპუბლიკურ წესს სახელმწიფოს ყველაზედ უფრო „პროგრესიულ“ ფორმად აღიარებენ. მაგრამ იქნება სწორედ ჩვენი შემთხვევა იყოს ისეთი შემთხვევა, რომ მთის ცხოვრებას, ყველაზედ უკეთ რესპუბლიკური და თემური წესი მიუდგეს. სამაგიეროდ ქართველი ერი იქნებოდა ყველაზედ უბადრუკი ერი მთელს კავკასიაში, საქართველომ რომ თავისთვის ისევ რესპუბლიკური წესი შემოილოს. ასე ფიქრობს ბევრი ქართველი დღეს, და ასე ფიქრობს იმიტომ, რომ რესპუბლიკა ჩვენში მენშევიზმ-ბოლშევიზმის სინონიმია, კიდევ იმიტომ, რომ რესპუბლიკა ჩვენში მენშევიზმ-ბოლშევიზმის შემოღებულია. ჩვენში სხვანაირ რესპუბლიკას ვერავინ შეჰქმნის და იგი მუდამ მენშევიკურ-ბოლშევიკური იქნება.

არის სხვა გარემოებაც, რომელსაც აგრეთვე დიდი ანგარიშის გაწევა უნდა. ჩვენი კავკასიელი მეზობლობა, ჩვენი კავკასიური ერთობა და ამ ერთობის გამტანობის იდეის სიმძლავრე დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად შევეჩვევით აგრეთვე იმ განსხვავებასაც ჩვენ შორის, რომელიც არსებობს, შეიძლბა მკვეთრადაც, მაგრამ ჩვენს ერთობას არ უნდა სპობდეს. ჩვენ ქართველები ვართ და ქრისტიანები, მთიელები მუსულმანები, მაგრამ კავკასიური მოდგმისა, აღერბეიჯანელები არა მარტო მუსულმანები, არამედ თურანული მოდგმისა, ხოლო სომხები

ქრისტიანები, კულტურულადაც ქართველების ძველი მეზობლები, მაგრამ ტომობრივად ყველა დანარჩენ კავკასიელ ერთაგან განსხვავებულნი.

ასეთ პირობებში, თავის და თავად ცხადია — ყველანი თურქოფილები ვერ ვიქნებით. ამიტომ, ჩვენ, „კავკაზ“-ში მომუშავე ქართველობას არამც თუ არასოდეს არ გვიქადაგნია ეს „თურქოფილობა“ არამედ, ნამუსის წინაშე შეგვიძლიან ვალიაროთ, რომ წინადადება — რათა ჩვენ „თურქოფილები“ ვიყოთ, არც ჩვენთან მომუშავე მთიელ-აღერბეიჯანელებისაგან მიგვიღია. მათ ძალიან კარგათ იციან, რომ ჩვენ, ქართველებს „სათურქოფილო“ არაფერი გვაქვს. უურნალი „კავკაზ“-ი ქადაგებს მხოლოდ კავკაზოფილობას და, პოლიტიკურის მოსაზრებით კარგ სამეზობლო განწყობილების დამყარების სურვილს ოსმალეთსა და კავკასიის შორის, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთისა და კავკასიის ორი ერის შორის, ჯერ კიდევ გუშინ, სადაც საქმე მოხდა. მაგრამ შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ ქართველებისა და სომხების გარდა, კავკასიაში ბინადრობს და ჩვენთან ერთად კავკასიის ყველა ერთა დამოუკიდებლობის მომხრეა, ორი ისეთი ერი, რომელთაგან ერთი — აღერბეიჯანი, ოსმალეთივით თურანის მოდგმის ტომია, ხოლო მეორე — მთიელები, ოსმალოს ერივით მუსულმანები არიან, რომელთაც შეუძლებელია დაუშალოთ, კულტურულ-ტომობრივი თუ კულტის ერთობა ჰქონდეთ.

პოლიტიკური ტაქტი მოითხოვდა, რომ ჩვენ ქართველებს, ასეთი მოვლენისათვის წარა-მარა და უმიზეზოდ „თურქოფილობა“ არ გვეწოდებინა და ისიც იმ შინაარსით, რომელსაც დემაგოგია ანიჭებს. მაგრამ ამის მიღწევა შეუძლო გახდა, რადგან უჭირო დემაგოგიამ ჩვენ, ქართველებიც „თურქოფილებად“ მოგვნათლა.

ასეთია მდგომარეობა. ასეთია „კავკაზ“-ის მიმართულება, თუ შევხედავთ მის ნამდვილ სახეს და არა იმ პროფილს, რომელსაც, აგერ რამდენი წელიწადია, სხვა და სხვა ცალთვალა „ხელოანი“ ხატავს.

როგორ უდგება ყველა ამ საკითხებს ბ. მ. წერეთელი, რომელსაც, როგორც ჩვენ უკვე ვსთქვით, გაბოროტებულ ხალხისაგან წამოწყებულ კამათში მსჯელობის კილო შეაქვს.

ავტორის აზრი თითქმის მკაფიოა. კავკასიის ერთა შორის კონფედერატიული სისტემის დამყარების აზრი მისთვის მისალებია, მაგრამ საძნელო, რადგან მისი ორი ერი, ერთი კავკასიურ-მუსულმანური მთა და მეორე თურქულ-მუსულმანური აღერბეიჯანი — თურქოფილური ერებია. მაგრამ კავკასიის კონფედერაცია - დამოუკიდებლობა, ავტორის აზრით, მაინც შესაძლებელი ყოფილა და ამის გამოსავალს, წმინდა კავკასიურს (სხვებმა შეიძლება ითიქრონ, რომ იგი წმინდა „ქართულია“) თითონვე იძლევა. კავკასიის კონფედერაციის განხორციელება ბ. მ. წერეთლის აზრით, შესაძლებელი იქნება, თუ დანარჩენი კავკასიის ერები საქართველოს გარშემო მოიყრიან თავს და ისე ააშენებენ ამ კონფედერაციას.

მე არა მსურს ბ-ნ მ. წერეთლის ეს შეხედულება, რომელიც ავტო-
 რის მსჯელობაში ყველაზედ თვალსაჩინოა, ჩემის გადმოცემით შერყ-
 ვნილი გამოვიდეს. ამიტომ მე განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ არაფერს
 ურიგოს და, ჩემის აზრით, მეორეხარისხოვანს, ბ. მ. წერეთელი ჩვენ კა-
 ვკასიელ მეზობლობას არ სთავაზობს. ის გამოსთქვამს იმ მარტივ და მარ-
 თალ ისტორიულ დებულებას, რომ კავკასიაში ერი, სახელმწიფოებრი-
 ვად მოწყობილი და ნამდვილი კავკასიური პოლიტიკით აღჭურვილი
 მარტო საქართველო იყო. ეს მართალი ისტორიული დებულებაა. ამ
 ნიადაგზედ თავის დროზედ, დავით ალმაშენებელმა დიდი სტილის კავ-
 კასიური პოლიტიკა აწარმოვა.

მაგრამ როგორ დავარწმუნოთ, ქართული მენშევიზმის შემხედვა-
 რი ჩვენი კავკასიური მეზობლები, რომ საქართველო დღესაც ის არის,
 რაც დავით ალმაშენებლის დროს იყო?! ევროპაში ახალი იდეები ჰქუ-
 სან, ერები სახელმწიფო წესებს სცვლიან და თავიანთ ცხოვრებაში გა-
 ნახლება შეაქვთ. ქართველობამ კი მენშევიზმი ემიგრაციაშიაც ვერ მო-
 ინელა. ამიტომ ის, რასაც ასეთ პირობებში ბ. მ. წერეთელი ბრძანებს,
 მხოლოდ ცარიელი სურვილია, რომ ჩვენმა თხამ მგელი დაიჭიროს.

ძველი საქართველოს პრესტიუი კავკასიაში, ძლიერმა მეფეებმა,
 გამარჯვებულმა ომებმა, ჭიკვიანმა პოლიტიკამ, მრავალ-ფეროვანმა
 ქართულმა კულტურამ და მთლიანმა ქართველმა ერმა შექმნა. და
 ესეც ერთის დაკვრით არ მომხდარა. საჭირო იყო ასი წლის დაუღალავა
 ბრძოლა, დაწყებული ბაგრატ მესამის მიერ, რომ ეს ბრძოლა დავით
 ალმაშენებელის მარჯვენით, ძლიერი ქართული მონარქიის შექმნით და-
 გვირგვინებულიყო. დღეს კი, ჩვენს წინაშე სდგას არა საქართველოს
 პრესტიუის საკითხი კავკასიაში, არამედ ქართველი ერის ხსნის საკითხი.
 დავით ალმაშენებელის შემდეგ საქართველომ კი არ იმატა—იკლო. გა-
 იზარდნენ ჩვენი მეზობელი ერებიც. მაგრამ ჩვენ კიდევ შეგვეძლო ჩვე-
 ნი ქართული როლი გვეთამაშა კავკასიაში, ჩვენ რომ კავკასიელ ერების
 სურვილს მივმხდარვიყავით, მათში გავრეულიყავით, წარა-მარა მათ
 „თურქოფილობაზედ“ და საქართველოსადმი „მტრობაზედ“ არ გვეძ-
 ლავლა და მათთვისაც ერის ღირსება შეგვერჩინა. თუ რა კილო შეირ-
 ჩინა ქართულმა ემიგრანტულმა პრესამ კავკასიელ ერთა შესახებ წერა-
 ში, ამის წინააღმდეგ პროტესტს ბ. ლეო კერესელიძე „თეთრი გიორ-
 გი“-ს იმავე ნომერში ბეჭდავს, რომელშიაც ბ. მ. წერეთლის წერილია
 დაბეჭდილი. ასე არ იქცეოდა საქართველო დავით ალმაშენებლის დროს.
 კავკასიური პოლიტიკის მესაჭე მეფემ ჯერ ცოლი მოიყვანა ჩრდილო
 კავკასიიდგან, მერე თავისი ასული თამარ მიათხოვა შირვანის სულთანს.
 იმ დროში და კავკასიური პოლიტიკის წარმოებისათვის ამ ფაქტებს დი-
 დი მნიშვნელობა ჰქონდათ.

რა უნდა წაუყენოთ ამ ფაქტებს ჩვენს დროში, როცა საქართველო
 არამც თუ სამეფო აღარ არის, ისტორიულმა გარემოებამ ჩვენ და
 დანარჩენი კავკასიელი ერები თანაბარ უფერულ პირობებში ჩაგვაყე-
 ნა? თუ ფაშისტ ბ. მ. წერეთელს ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ შეუთვისე-

ბია ის მთავარი ფაშისტური დებულება, რომ ფაშისტი არასოდეს და არც ერთ ყოფაში მარქსისტი არ უნდა იცავდეს, მით უმეტეს თუ ეს მარქსისტი ყოფილი „მთავრობაა“, რომელმაც ქვეყანა დაღუპა; მას-კი უორდანია ისევ ქართული ეროვნული სიმბოლო ჰქონია? საქართველოს პრესტიუზედ ლაპარაკი ნაადრევია, იგი უნდა გამრთელდეს ჯერ შიგნით, რომ შემდეგ დანარჩენ კავკასიაშიაც ჰქონდეს მნიშვნელობა.

არსებობს მხოლოდ ერთი გზა, რომ საქართველომ მართლა ითამაშოს კავკასიაში ის როლი, რომელსაც ბ. მ. წერეთელი მისთვის მოითხოვს. საქართველომ მაგრად უნდა ჩასჭიდოს ხელი კავკასიური მთლიანობის იდეას, იგი პირველი უნდა გამოდიოდეს კავკასიელ ერთა თანასწორობის მებაირალტრედ და თან ჩაიყოლიოს იმ ბრძოლაში, რომელიც ჩვენს წინაშე იშლება. ამას მოითხოვს სწორედ გაგებული საქართველოს ინტერესი.

შ. ამირეჯიბი



ერთა თვითგამორჩევის უფლება იმარჯვება!

ეროვნული უფლების დაცვას გრძელი წარსული აქვს. თვითეული ერი იბრძოდა ეროვნული სახის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. ისტორიის გასწვრივ, ეს ბრძოლა ჩვეულებრივ ულმობელი და დაუნდობელი სახით სწარმოებდა. ხშირად ერთ ერს ან ხალხს, მეორე ერი თუ ხალხი ამოუჭამია, ერთ ერს მეორე შეუსვამს და გაუთქვეთია. მრავალი წვრილი და ხშირად დიდი ერებიც, რომელთაც თავიანთ მოღვაწეობით საკაცობრიო ისტორიაში დიდი კულტურული და ცივილიზატორული წვლილი შეუტანიათ, დედამიწის ზურგიდან აღვილან და მათი წარსული ახლა მხოლოდ არქეოლოგებისა და ფილოლოგ-ლინგვისტების კვლევის საგნად გამხდარა. თვითეულ ერს მედგარი და შეუპოვარი ბრძოლის მეოხებით, უდიდესი მსხვერპლის გაღებით, თავისი ეროვნული მეობა განუმტკიცებია.

დროთა მსვლელობაში კავკასიის ერებსაც დიდი ქარტეხილი გადაუტანიათ. ვინ არ გნებავთ, რომ ამათ არ შემოსეოდა, მოყოლებული ძველ კულტურულ ერებიდან, გათავებული შორეულ აზიის ველური ბრძოებამდის, მის ზურგზე გადაღიოდნენ და კავკასიელ ხალხთა ეროვნულ და ფიზიკურ არსებობას, საუკუნეთა განმავლობაში, აჩანაგებდნენ. მიუხედავად ამისა, დღემდის თავიანთი ენა, ზნე-ჩვეულება, ხასიათი მათ ყველას მოუტანიათ. მართალია, ხშირად დაუკარგავთ ეროვნული დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ როგორც კი დრო და მოხერხებული პირობები უპოვიათ, მტრები თავიდან მოუშორებიათ და საკუთარ ფეხზე დამდგარან.

ერთი ერის მიერ მეორე ერის დამორჩილება-დაპყრობა ისტორიას

წითელი ზოლივით გასდევს. ძალმომრეობა უფლებად გადაიქცა; მორევის პრინციპს კოდიფიკაცია მოუხდინეს და ერთა თვითგამორკვევის უფლება არარად აქციეს. საკმარისია მთელი დედა-მიწის ზურგის დანაწილებას თვალი გადაავლოთ, რომ აშკარად დავინახოთ, თუ როგორ უსამართლოდ არის დაკავებული მთელი სამყარო და რა მრავალი ერები არიან დიდი ერების ბატონობის ქვეშ მოქცეულნი.

მთელი ქვეყნის უსამართლო განაწილებას სხვა დიდი უსამართლობა მისდევს. დიდ სახელმწიფოების მიერ დაკავებულ ფართო ტერიტორიებზე სცხოვრობენ მრავალი პატარა ერები, რომლებიც დიდი სახელმწიფოებისაგან დიდ ეროვნულ ჩაგვრას განიცდიან. აქ ერთა თვითგამორკვევის უფლება, ერთა დამოუკიდებლობის პრინციპი მიწასთან არის გასწორებული. შემოავლეს გარდაუვალი ზღუდე თავიანთ სამფლობელოს, შიგ სხვას არ აჭაპანებენ. უცხო ქვეყნის საქონელს არ უშვებენ; ნედლი მასალის გარედ გატანას აფერხებენ და ბრძანებლობენ, როგორც მოეპრიანებათ. მთელი ქვეყნის ნედლი მასალის 85 პროცენტი დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატების და საბჭოთა რუსეთის ხელშია. ხოლო დანარჩენ 70 სახელმწიფოს ნედლი მასალის 15 პროცენტი დარჩენიათ.

ყველაზე მძიმე პირობებში გერმანიის დიდი სახელმწიფო იმყოფება. ოთხმოც მილიონი მცხოვრებით იგი მომწყვდეულია, შედარებით სხვებთან, სულ პატარა მიწა-წყალზე; მის, უაღრესად განვითარებულ მრეწველობა-ვაჭრობას ნედლი, დასამუშავებელი მასალა აკლია და საჟარხნო წესით დამუშავებულ საქონელს ბაზრები არა აქვს. გარდა ამისა, მის მცირე ტერიტორიაზე არც ერთი უცხო ერის შვილი არ სცხოვრობს, არც ერთ პატარა ერზე არა ბატონობს და არც ერთი დიდი ერის ნაწილი არ უპყრია.

ეჭვს გარეშეა, ასეთ პირობებში, გერმანიას ახლა ყველაზე თამამად შეუძლია წამოაყენოს ერთა თვით გამორკვევის პრინციპი, პატარა ერთა დამოუკიდებელი არსებობის მცნება. გერმანია ერთა თვითგამორკვევას მოითხოვს, ხოლო, ოდესლაც ცნობილი დიდი ერები, რომლებიც ერთა თავისუფლებისათვის იღწვოდნენ, ერთა თავისუფლების დროშა დაბლა დახარეს და, თავისდა უნებურად, გერმანიას გადასცეს.

თვით დიდი მსოფლიო ომის დროსაც გერმანიის იმპერატორის მთავრობამ დაშალა დიდი რუსეთი, მის ყოფილ სამფლობელო ტერიტორიაზე მრავალი ეროვნული სახელმწიფოები წარმოშობა. ბევრმა მათგანმა შეინარჩუნა თავისი ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო ბევრმა დაპკარგა და რუსეთმა კვლავ თავისი ბატონობის უღელი დაადგა. გერმანიის დამარცხებამ, ხელი შეუწყო რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას, კავკასიის ერებიც ხელმეორედ დაეპყრო.

მსოფლიო ომის შედეგად დადებულმა ვერსალის ზავმა, ერთა მდგომარეობა თუ არ გააუარესა, არ გაუუმჯობესებია. შუაგულ ევროპაში ზოგიერთ ერებს მოგლივა თავისი ნაწილები და უცხო ერს გადაულოცა. ვილსონის 14 პუნქტი ამაო სიტყვებად გადაიქცა და ერთა

თვითგამორკვევის უფლება შუაგულ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ფეხქვეშ გაითელა. გარდა ამისა, ვერსალის ზავის, მეოხებით, ერთსა და იმავე ხალხს — სისხლით და ხორცით, ენით და კულტურით, — საერთო ცხოვრების უფლება არ მისცეს და ერთი მეორეს მოაშორეს.

ამ რიგად, ოცი წლის განმავლობაში ილახებოდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, იჩაგრებოდნენ ერები. ამ შემთხვევაშიაც პირველად გერმანიამ აღიმაღლა ხმა უსამართლობისა და ერთა ჩაგვრის წინააღმდეგ. უსისხლოდ და უომრად ავსტრია შემოიერთა, სამ მილიონ ნახევარი გერმანელი ჩეხო-სლოვაკების სახელმწიფოს გამოჰყოფილი ხელიდან და გერმანელი ერის ნაწილი გერმანელებსავე მიაკუთვნა. გერმანიისავე მეოხებით პოლონეთმა და უნგრეთმა თავისი ნაწილი მიიღეს. თვით ჩეხებსა, სლოვაკებსა და კარპატიის უკრაინელთა შორის შეიქმნა თავისუფალი ერის მთავრობა, ერთა კავშირის ნიადაგზე.

ამ სახით გერმანიის მეოხებით გაიმარჯვა ერთა თვითგამორკვევის პრინციპმა და ეროვნული უფლება სინამდვილედ იქცა. ამას ზედ დაეკუცა სამხრეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების სავაჭრო ხელშეკრულებათა დადება გერმანიასთან და ეს კავშირი მცირე აზიის სახელმწიფოს, ოსმალეთამდის გაფართოვდა. დასახელებული კავშირით და ახლად მომხდარ, ეროვნებათა განთავისუფლების მეოხებით, სამუდამოდ დაიშალა მცირე ანტანტის კავშირი, და, რაც უფრო დიდ მნიშვნელოვანია, რუსეთის (ძველი და ახალის) მუდმივი მისწრაფება, — პანსლავური იდეა. ჩვენ ვფიქრობთ, უკანასკნელი მოვლენებით რუსეთს სამუდამოდ გზები მოექრა და იგი ბალკანეთის არეზე ველარ გამოჩნდება. მისი, ევროპის დამლუპველი პანსლავური პოლიტიკა, სამუდამოდ დასამარდა და მის ნანგრევებზე წარმოიშვა ძლიერი კავშირი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ, შავი ზღვის გასწვრივ, ფართო გასაქანს მოითხოვს.

ამ საპერსპექტივო კავშირს წინ უძლვის ერთა თვითგამორკვევის უფლება და შორს ალარ არის ის დრო, როდესაც ეს აქლემი რუსეთის კავშირის წინაც დაიჩოქებს და ბოლშევიკურ კავშირსაც, როგორც ჩეხო-სლოვაკიას, განკითხვის დღე დაუდგება.

გერმანიამ ზურგი შეაქცია დასავლეთს, აქეთ სადაო და მისაღები არაფერი აქვს. პირი აღმოსავლეთისაკენა ჰქნა, შავ ზღვაზე გამოდის და თავის მომავალს აღმოსავლეთისაკენ ეძებს. მაგრამ აქ არის გაწოლილი მოსკოვის საზღაპრო გველაშაპი, რომელიც დასწოლია სხვა და სხვა ერებს, უკრაინას, კავკასიას, თურქისტანს და უწყალოდ ანადგურებს ამ ხალხების სულიერ და ნივთიერ ავლა-დიდებას; ეს უმდიდრესი ქვეყნები სათარეშოდ გაუხდია, შიგ არავის უშვებს და ჯიჯგნის, როგორც ესურვება. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განკითხვის უამი მოახლოებულია და კავკასიის მკვიდრნიც მზად უნდა იყვნენ.

თუ როდისმე კავკასიის ერთა შორის ერთობა და კავკასიის ერთგული პატრიოტობა საჭირო იყო, სწორედ დღეს ეს უდიდესი მოვალეობაა.

აქ ცულლუტობას, აქეთ-იქით ცქერას, ადგილი არ უნდა ჰქონდეს. კავკასიის ყველა ერებმა ერთსულოვნად უნდა იმუშაონ თავისი დამოუკიდებლობისათვის და არც ერთ უცხო სახელმწიფოს წინაშე თავი არ უნდა მოიხარონ, უკეთუ რომელიმე მეზობელი ერთი ბოხჩის ოდენა ადგილის დაკავებას მოისურვებს. კავკასია კავკასიელთათვის!

ვლ. ახმეტელი



პოლიტიკა და პატრიოტიზმი

უურნალ კ. „პრომეთე“-ში, როდესაც ჯერ კიდევ ქართველების ხელში იყო, № 136—137, 49 გვერდზე, ვკითხულობთ ფრანგულად შემდეგს განცხადებას: „ჩვენ მივიღეთ შემდეგი კომუნიკა: — კავკასიის კონფედერაციის საბჭომ მიიღო პრესის ცნობა, რომლის მიხედვით, იტალიის, გერმანიის და პოლონეთის მთავრობათ მიერთვათ ნოტა, არამეგობრული განწყობილებით ოსმალეთისადმი; და კატეგორიულად აცხადებს, რომ ასეთი ნოტით არასოდეს არ მიუმართავს ზემოაღნიშნულ მთავრობათათვის არც საბჭოს და არც რომელიმე მის ნაწილს (ადერბეიჯანის, საქართველოს თუ მთიელთა).

„საბჭო სარგებლობს შემთხვევით, განაცხადოს კიდევ ერთხელ, რომ მეგობრული ურთიერთობა ოსმალეთთან იყო და არის ერთერთი ბაზა, რომელზედაც მას (კ. კ. საბჭოს) იმედი აქვს დაამყაროს დამოუკიდებლობა და ბედნიერება კავკასიელ ერებისა.“

მკითხველს ეხსომება, რომ ესეთი „დემანტი“ დასჭირდა „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს, ე. ი. „ბრიუსელის პაქტის“ ავტორსა და გამნალდებელს, იმ ცნობის გამო, რომ იტალიისა და პარიზის პრესი გამოქვეყნდა ცნობები; ვითომ საქართველოს ყოფილ მთავრობას წარედგინოს ზემოაღნიშნული შინაარსის ნოტა, დასახელებულ მთავრობათათვის.

ჩვენ არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ რად დასჭირდა „კ. კ. საბჭოს“, „დემანტის“ გაკეთება იმ ბრალდებაზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს ყოფილ მთავრობას; არც იმისაში, იყო თუ არა, იტალიური, პარიზული და ქართული პრესის საპოლემიკო ამბავის გამო, ეს „დემანტი“ — „კიამანტი“.

გვინდა მხოლოდ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ უცნაურ გარემოებას, რომ „ბრიუსელის პაქტის“ ავტორები და ხელმძღვანელნი, — რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს ყოფილ მთავრობას — არსებითად, პოლიტიკური გაგებით, ოფიციალურად აცხადებენ სწორედ იმას, რაც დასწერა ბ-ნმა ბამატმა საგაზეთო წერილში — სამხრეთის საზღვრების შესახებ.

მართლაც, აბა შეადარეთ:

მენშევიკური „დემანტი“: — „მეგობრული ურთიერთობა ოსმალეთთან იყო და არის ერთერთი ბაზა, რომელზედაც მას (კ.კ. საბჭოს) იმედი აქვს დაამყაროს დამოუკიდებლობა და ბედნიერება, კავკასიელ ერებისა“.

ბ-ნი ბამატი: —

„კავკაზ“-ის მიმართულება ; სცნობს სამხრეთის იმ საზღვრებს, რომელიც დღეს არსებობს კავკასიასა, ოსმალეთსა და ირანს შორის“.

განსხვავება არავითარი პოლიტიკურ არსებაში! მხოლოდ სიტყვიერი გამოხატულება სხვა და სხვა ნაირი; რაღაც, რასაკვირველია, ვერც ერთ პოლიტიკურად მოაზროვნე აღამიანს (გინდ ქართველს, გინდ სხვა კავკასიელს და მეტადრე უცხოელს) ვერ შეიყვანო შეცდომაში ამ ორი დებულების ვითომდა სხვადასხვაობით. მაგრამ შინაურ ფრონტზე სადემაგოგიოთ, უვიცი „ობივატელის“ ასაყოლიებლად და მეტადრე ქართველისა, — საკმარისია; რომ მოეწყოს ყოვლად თავშეუდებელი მიტინგი, როგორიც იყო, მაგ., 4 ქრისტიშობისთვეს, დამთუძნებელი კრების თავმჯდომარის ორი ამხანაგის თავმჯდომარეობით; რომ ააყავყავო და მიუსისინო „საზოგადოება“ მოწინააღმდეგეს (მაგრამ მოწინააღმდეგეს სულ სხვა ნიადაგზედ და არა საზღვრების ცნობისა გამო); აიყოლიო „ახალგაზრდული პრესა“ და სხ. და სხ., რომ — საკუთარი მენშევიკური წარსულის დანაშაული ღრიანცელში დაჰტარო და სხვას მოახვიო თავზედ.

იმავე მენშევიკურ-დემაგოგიურ სერიაში ექცევა ის გარემოებაც, რომ იმავე „კავკასიის კონფედერაციის“ მოტრფიალე ბ-ნი ბამატი (ჩრდილოეთ კავკასიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და წარმომადგენელი) გამოაცხადო კავკასიისა და საქართველოს მტრად „თურქოფილობისათვის“ და თურქოფილი კი არა, თურქი და პანთურქისტი ბ-ნი რასულ-ზადე, კავკასიისა და საქართველოს მეგობრად და იყოლიო მოკავშირედ:

რა არის ეს თუ არა დემაგოგია?

მაგრამ მთავარი უბედურება ჯერ კიდევ ამაში არ არის. მთავარი ის არის, რომ ესეთი პრიმიტიული საშუალებით, ბ-ნი უორდანია ახერხებს, თითონ ნაკლებად გამოჩნდეს, თავისი პრესა ნაკლებად ალაპარაკოს და ქართველი ნაციონალისტებისა და ზოგიერთ ახალგაზრდების პრესაც სხვას მიუსიოს, სხვისი ხელით ნარი გლიჯოს. აი რა არის სამწუხარო.

ჩვენ უკვე ვწერდით (იხ. „კავკასია“ № 8-9) რომ საქართველოს არ შეუძლიან მთლად გადაჰყვეს ერთ რომელიმე პოლიტიკას; რომ პოლიტიკა და პატრიოტიზმი ვერავისი მონოპოლია ვერ გახდება; რომ ეს სახითათოა საბოლოო მიზნისათვის, რომ ისტორიულმა (ძველმა თუ ახალმა) პრაქტიკამაც დაამტკიცა ესა და მით უფრო სავალალოა განმეორება წარსული შეცდომისა. როცა რომელიმე პატარა ერს უკვე აქვს საკუ-

თარი სახელმწიფო, მაშინაც შეუძლებელი და საშიშია მისთვის ერთი გეზით მუშაობა და როცა იგი ჩვენსავით მხოლოდ თავის უფლებისა და თავისუფლების მაძებარია, ყოვლად დაუშვებელი დანაშაულია ასეთი მონოპოლიური და მოლიპული გზით სიარული.

პოლიტიკა და მეტადრე პატრიოტიზმი სხვა და სხვა ნაირი ზომისა და წონისა შეიძლება იყოს, სხვა და სხვა ნაირი ფერისა და აღტყინებისა, მიზანშეწონილებისაც, და ხალხი, თუ ეროვნულად მომზადებულია, ამ სხვა და სხვანაირობას ერთნაირი მსხვერპლმოტანით უნდა იყენებდეს სამშობლოსათვის, უნდა ეჯიბრებოდეს ერთმანეთს, უკეთესად და მაქ-სიმალურად გამოყენებაში საერთო მიზნისათვის; და დაქსაქსული ემიგ-რაცია კი ეჯიბრება ერთმანეთს, ერთმანეთის ჩაწიხვლასა და დასუსტე-ბაში საერთო და ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც უჭირავს ჩვენი ტერიტორიაც, სახელმწიფოც და ხალხსაც ზნეობრივად, მატერიალურად და ეროვნულად აწამებს და ანადგურებს.


პოლიტიკის გონივრული წარმოებისათვის საჭიროა ახალგაზრდუ-ლი გრძნობების აღტყინებაც, ოცნებაც, ისტორიულ საზღვრამდე და იქითაც გადატანილი, — ეს ჯანსაღი ეროვნული ორგანიზმის თვისებაა, მაგრამ რეალური პოლიტიკის მწარმოებელი, მარტო ასე და ამით ვერ განსაზღვრავს თავის მოქმედებას, თუ არ უნდა დაღუპოს ქვეყანა; და, აი, რა საუცხოვო მაგალითმა გაიარა ჩვენ თვალწინ სწორედ ეხლა, ჩვე-ნი საკუთარი დაბნეულობის დროს. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობა, არა ნაკლებად ჩვენსაზედ პატრიოტულად აგზნებული რაღა თქმა უნდა, არა მარტო გაჰკიოდა სახელმწიფოს საზღვრების დაცვაზედ და ომზედ მტერთან, არამედ იარაღსაც ისხავდა და აჩხარუნებდა, მაგრამ გონიე-რებამა სძლია და ბენეში და მისი მთავრობა გადადგა. გულისწუხილით ბევრი რამ დასთმო ტერიტორიალურადა და მოსახლეობით, ახალმა მთა-ვრობამ გამოიცვალა ორიენტაცია და მეგობრები... მაგრამ, ყველაშ ეხლა იცის (მტერმაც, მეგობარმაც, შინაურმაც და ობიექტიურად მოაზროვნემაც), რომ ამით ჩეხოსლოვაკია გადარჩა სრულ განადგურე-ბას. განა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობას ამით პატრიოტული სულის-კვეთება დააკლდა? განა ყოფილმა მთავრობამ „გაჰკიდა ქვეყანა და მო-ლალატედ იქცა“ იმიტომ რომ „ტერიტორია საუკუნოებრივ მტერს და-უთმო“? ან ახალი მთავრობა „ჩასაქოლია რომ ორიენტაცია შეიცვალა“ და სხ.? რითაც ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა ისეთი გაშმაგებით კო-რიანტელს აყენებს სწორედ საქართველოს დამღუპველი, ყოფილ მთავ-რობის სასიამოვნოდ და მოხერხებული გავლენით „კავკაზ“-ისა და „კა-ვკასიის“ წინააღმდეგ, რომელსაც არაფერი არც დაუთმია და არც მის ხელთაა რისამე დათმობა და „გაყიდვა“.

როგორ, ახალგაზრდობასა სჯერა, რომ ადამიანები, რომელთაც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება სამშობლოს სამსახურისათვის შეუწირავთ და მრავალჯერ მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილან სიკ-ვდილს მტერთან ბრძოლაში, — დღეს სამშობლოს მტრები გახდნენ და გუშინდელი არა მცნობნი არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლო-

ბისა, არამედ ავტონომიისა და სახელისაც კი — ისე გაპატრიოტდნენ, რომ მათთან ლაპარაკისა და შერიგების კილოც კი გამოსაძებნად მიაჩნიათ? ესეთი აბრუნდის მოხდენა მხოლოდ ემიგრანტულ ფსიქოლოგიას შეუძლიან და ბოროტების თითსა და ენას.

საჭიროა, ქართველმა პატრიოტულმა ახალგაზრდობამ შეიგნოს საქართველოს მდგომარეობის სირთულე და კიდევ არ ამძიმებდეს ზედმეტი გაბოროტებითა და შხამით. დევ, უველამ ისე აკეთოს პატრიოტული საქმე, როგორც თითონ ესმის და დემაგოგიისა, დაბეზღებისა და სიყალბის მეთოდები დარჩეთ იმ დაობებულ მენშევიკებს, რომელნიც ამაზედღა ამყარებენ თავიანთ განუნებულ პოლიტიკურ კარიერას. ნაციონალისტებს ეს არ ეკადრებათ.

რ. გაბაშვილი



ა თ ა თ უ რ ძ ი

ბრწყინვალე და უნიჭიერესი მხედარი, უდიდესი და იშვიათი სახელმწიფო მოღვაწე, საყვარელი და ძლიერი ბელადი....

ასეთი იყო კაცი, რომელსაც დღეს მთელი თურქეთი დასტირის.

ის მოევლინა როგორც მხსნელი ჩვენს მეზობელ ერს, მისი ისტორიის მეტად დრამატიულ მომენტში. მაშინ, როდესაც თურქეთისათვის ყველაფერი დაკარგული იყო: ომი წაგებული; დედა-ქალაქი გამარჯვებულ მოკავშირეთა ხელში; თურქეთის ბატონი — მორწმუნეთა დიდი ხალიფი, ოსმალეთის სულთანი, „საპატიო“ პატიმარის მდგომარეობაში — სტამბოლს. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. და, აი, სტორედ ამ დროს, როდესაც სტამბოლის ხელმძღვანელნი, აღმოსავლური ფატალიზმით მზად იყვნენ გამარჯვებულთ და გარემოებას დამორჩილებულიყვნენ, აჯანყდა პიროვნება უნაკლო და მეთაურისათვის საჭირო ლირუბით დაჯილდოებული — ქემალ ფაშა.

ბავშვობიდანვე, ალი-რიზა-ბეის ვაჟი, იჩენს დამოუკიდებელ ბუნებას, ის იძულებულია ჯერ რელიგიურ და მერე სამოქალაქო სასწავლებელს გამოემშვიდობოს და მხოლოდ სამხედრო სასწავლებლის მძიმე დისკიპლინას ეგუება მისი სულიერი განწყობილება. აქ მუსტაფა-ქემალის ნიჭის ფართე ასპარეზი ეშლება, ის ახალგაზრდული გატაცებით მონაწილეობს ყოველ ფიზიკურ ვარჯიშობაში და განსაკუთრებული გულ-მოდგინეობით ეწაფება რთულ მეცნიერულ შრომას. ის იყო იმდენად უნაკლო და დასრულებული ყველა დარგში, რომ ერთი მის მასწავლებელთაგანი, რომელსაც, სხვათა შორის, მასავით მუსტაფა ერქვა, ერთ დღეს უბნება: „ამიერიდან, ჩვენ გიწოდებთ ქემალ“-საო (რაც ნიშნავს

უნაკლოს). მან სავსებით გაამართლა ეს სახელწოდება, — უნაკლო მოწაფე, ის დიდი ომის უნაკლო მხედარი არის — განმათავისუფლებელ ბრძოლების უნაკლო ფაშა.

მან მაქსიმალურად და ბრწყინვალედ გამოიყენა თავისი ერის რაინდული და მხედრული თვისებანი. იმ დროს, როდესაც ყველას ეგონა, ოსმალეთი საბოლოოდ „საოპეკუნო სახელმწიფოთა“ ჩიტოვი მოექცაოდა მის მიწა-წყალს ლოიდ-ჯორჯები და ყველა ვისაც არ ეზარებოდა, წალმა-უკულმა ანაწილებდნენ; მაშინ როდესაც საბერძნეთი, სპარტა-ათინის ძველებური ძლიერების მოვონებით გატაცებული, ახლო-აღმოსავლეთში გეგემონიაზედ ოცნებობდა, ანატოლიაში გაჭრილი „უნაკლო ფაშას“. საქმიანობა ყველას უმნიშვნელო ეპიზოდად ეჩვენებოდა. აი აქ, ანატოლიაში შეკვეთი დიდმა თურქმა ის ძლიერი ჯარი, განსახიერება მისი ერის ტრადიციისა და ნაზიარები სამშობლოს სიყვარულით. მდინარე სანკარიის ჭაობები მოწმენი არიან იქ შეტყუებული ლოიდ-ჯორჯის მიერ გამხნევებული ბერძნების უმაგალითო დამარცხებისა; თურქმეომრებმა ამ მდინარის ნაპირად უწოდეს თავიანთ ბელადს: გაზი — გამარჯვებული. ამის შემდეგ ლოზანის კონფერენციაზედ გაუქმებულ იქმნა სევრის ხელშეკრულობა, დამამცირებელი თურქებისათვის. მათ დაიბრუნეს დამოუკიდებლობა და მოკავშირეების მიერ დაკავებული ტერიტორია.

თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი ქემალი, გვევლინება როგორც განსახიერება გენიალური სახელმწიფო მოღვაწის ტიპისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს მისი სამშობლო. მისი დიდი რეფორმები, როგორც მაგალითად, მრავალცოლიანობის გაუქმება, ქალის განთავისუფლება, ხალიფატის გაუქმება, თანამედროვე მომენტისათვის საჭირო სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სხვ. — იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი შეფასება საუურნალო წერილში შეუძლებელია.

მან მოახდინა თავის ქვეყნის სრული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნა. მან შეკვეთი ახალი ქვეყანა და მადლიერმა ერმაც უწოდა თავის მეთაურს მამა — ათა-თურქი.

ბედნიერია ერი, რომელსაც თავის ცხოვრების გაჭირვების უამსახეთი მეთაური აღმოაჩნდება. და ჩვენ, კავკასიელნი, განსაკუთრებითა ვგრძნობთ მებრძოლი ერის გულის ტკივილის სიმძიმეს, რადგან ჩვენი ისტორიის მძიმე დროს მსგავსი მეთაური არ აღმოგვაჩნდა.

დიდი თურქი პატრიოტის ცხოვრება, დასრულებული ბელადას ბიოგრაფია, შეიძლება სამი სიტყვით გამოითქვას:

ქემალი, გაზი, ათა-თურქი.

ქემალ ათა-თურქის გარდაცვალების მეორე დღეს, თანახმად კონსტიტუციისა, თურქეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ღენერალი ისმეთ ინონუ პრეზიდენტად.

ისმეთ ინონუ ქემალის უახლოესი თანამშრომელი და თანამებრძოლია; ის დაიბადა 25 სექტემბერს 1884 წელს იზმირში, მისი მამა რაშიკბეი, მოსამართლე იყო.

იზმირის პირველდაწყებითი სკოლა ისმეთ ინონუს განათლების პირველი საფეხურია. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ისმეთი ოცნებობს ინუენერი გახდეს და სივასის სასწავლებელში შედის. მაგრამ მალე თავს ანებებს და 1900 წელს, მასა ვხედავთ სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელში. 1906 წელს, 22 წლის ახალგაზრდა გამოდის ამ სასწავლებლიდან კაპიტანის ხარისხით.

მისი გამბედაობა და განსაკუთრებული სტრატეგიის ალლო სამხედრო ბელადთა პირველ რიგში აყენებს. იემენის, ბალკანეთის და დიდი ომის დროს ისმეთ ფაშას სახელი ყველგან გაისმის. მისთვის უცხოა სისუსტე, ის ულმობელია, როგორც თავის მხედრების მიმართ, ისე თავისი თავის მიმართ. ბერძნებთან ომის დროს, მისი გმირობა და მხნეობა არის მიზეზი ბერძნების მიერ არაჩვეულებრივად გამაგრებულ სოფელ ინონუს დაცემისა; მისი გვარი მისი სამხედრო ცხოვრების ამ მომენტის მოგონებაა.

ისმეთ ინონუს ცხოვრება მარტო სამხედრო მოღვაწეობით არ ისაზღვრება. ლოზანის კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე ისმეთი, დიპლომატიაში პირველად გამოდის. მის პირდაპირ სხვა გამოცდილ დიპლომატთა შორის დიპლომატიის დიდი ოსტატი ლორდ კერზონი ზის. ამ უკანასკნელს აზიელი ღენერალი ადვილი ლუკმა ჰერი, მაგრამ კერზონის იერიში ისეთის მარტივი წესით არის მოგერიებული, რომელიც მხოლოდ ოსმალურ დიპლომატიის საიდუმლოებას შადგენს: სმენის ორგანოების სისუსტე: „მე არაფერი გამიგონია რა“-ო, კერზონის მკვახე სიტყვის საპასუხოდ, მართლაც მეტად მარტივია, საჭირო იყო კაცს ამაზედ ეფუქრა. ეს კონფერენცია ისმეთ ინონუს ტრიუმფია, როგორც დიპლომატისა.

სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში, ის მუდამ ქემალ ათათურქის გვერდით არის, ოსმალეთის მრავალი რკინის გზათა ქსელი ინონუს შრომის ნაყოფია.

ახალი პრეზიდენტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი არის ოსმალეთის ახალგაზრდობა და ამ უკანასკნელთა უსაზღვრო სიყვარული მას საკმაოდ აკმაყოფილებს.

ისმეთ ინონუ კავკასიელი ერების დიდი მეგობარიც არის და, ვფიქრობთ, კავკასიური პრობლემა მის მძიმე საზრუნავთა შორის, საპატიო აღგილს დაიჭერს.

ლია ჭერილი ბატონ მიხეილ ჭერეთელს

ძვირფასო ბატონო მიხაკო,

კვლავ ვბედავ მოგმართოთ ძველებურის წესით იმ იმედით, რომ ისურვებთ თქვენს „უნცროსს ძმას“ და მოწაფეს ერთხელ კიდევ მოუსმინოთ. მართალი გითხრათ მერჩივნა ჩვენი კარგა ხნით შეწყვეტილ ურთიერთობის, სხვა პირობებში და სხვა საბაბით აღდგენა, თუ ურთიერთობის აღდგენა დაერქმევა იმას, რაც ქვემოდ თქვენთვისა მაქვს მოსახსენებელი.

შეიძლება, ბავშვობითვე თქვენ მიმართ ჩანერგილი სიყვარული და პატივისცემა უფრო მწვავედ მაგრძნობინებს ჩვენს წრეზედ უსამართლო გამოლაშქრებას და მეც მათქმევინებს: ნეტარ თქვენც არ ამოგეყოთ თავი იმ ადამიანთა რიგებში, რომელნიც დაბალი მიზნებით, ანგარებით და შურით გაბოროტებულნი, ჩვენს წრეს გამუდმებით თავს ესხმიან.

ეს გარემოება უფრო სამწუხარო და გულსაკლავი ხდება ჩვენთვის, ვიდრე თქვენი „თეთრი გიორგი“ს უკანასკნელ ნომერში მოთავსებული სივრცით გამანადგურებელი, წერილი. თქვენთვის ადვილი დასაჯერებელი იქნება თუ მოგახსენებთ, რომ არც ერთ ჩვენ მოწინააღმდეგეთა ნაწერს ისე გულდასმით არ წავიკითხავდით, როგორც თქვენსას. თქვენდამი პატივისცემით აღსავსე, მე ვამჯობინებდი თქვენს წერილში რაიმე დადებითი კრიტიკა მეპოვნა, ვიდრე ეს მეტად გაგრძელებული, არაფრის ახალის მთქმელი და თან აღვილ-აღვილ თვით თქვენთვისვე არასაკადრისად ნახმარ ფორმებით აჭრელებული წერილი.

საკვირველია, ბატონო მიხაკო, რომ თქვენ, „უპირველეს თანამშრომელს“, „კავკაზი“-სა ასე ნაგვიანებად გახსენდებათ სიძნელეები კავკასიელთა ერთობისა. რა არის ახალი თქვენ მიერ მეტად სწორად გადმოცემულ სიძნელეების აღნუსხვაში, განა ყველაფერი ეს „კავკაზ“-ში თანამშრომლობის დაწყებამდის არ მოგეხსენებოდათ?

განა იმათ „ვისიც პატივისცემა და სიყვარული ღრმადა გაქვთ გულში“ ეს სიძნელეები არ მოეხსენებათ? ან შეიძლება თქვენამდის არ მოუღწევია სწორედ „კავკაზი“-ს ფურცლებზე ამ თემაზე დაწერილ წერილებს? რელიგიური თუ რასიული სხვა და სხვაობა. ლტოლვა ზოგის სამხრეთით, ზოგის კიდევ ჩრდილოეთით. ტერიტორიალური პრეტენზიები ერთი მეორისადმი, უნდობლობაც კი, ძნელად დასაძლევი პირობებია კავკასიელთა შორის თანხმობის შესაქმნელად და კონფედერატიულ კავკასიის დასაფუძნებლად.

კართველ და კავკასიელ პატრიოტის მოვალეობაა, გაშუქება ამ სიძნელეებისა და ცდა მათი დაძლევისა და არა მათზედ პესიმისტური წუწუნი. გარნა, ჩვენთვის საკვირველი არ არის თქვენი პესიმიზმი კავკასიის კონფედერაციაზე, მის შემდეგ, რაც თქვენ საქართველოს და-

მოუკიდებლად არსებობასაც პესიმისტურად უცქერით, გარეშე, ჩვენი ქვეყნის ფედერატიულ საფუძველზე მოწყობისა.

ჩვენი, თქვენ მიერ დაწუნებული კავკასიური წრე, სიძნელეთა სრულის შეგნებით, სცდილობს მათ გადალახვას. ჩვენა გვწამს, რომ ჩვენი „ცხოვრების მოწყობის საერთო ინტერესის“ შეგნება, გადაალახვინებს ამ სიძნელეებს კავკასიელ ერებს და ბოლოს კავკასიის კონფედერატიულ სახელმწიფოდ გადააჭცევს. ნიშნები კავკასიელთა აზროვნების ჩვენთვის სასურველად ევოლუციისა მრავლად მოგვეპოვება დღეს და თვით არსებობა ჩვენი წრისაც, განა ამ ევოლუციის მაჩვენებელი არ არის? მართალია კავკასიელთა მოძრაობას ჩვენი მოძმე სომხობა აკლია. ჩვენც გვესმის სომხების ეჭვიც, უკმაყოფელებაც, მაგრამ იმედი გვაქვს, სომხობას მათი პოლიტიკური იდეალის მიღწევის სურვილი, ისევ კავკასიისაკენ აბრუნებინებს პირსა. ნიშნებს ასეთი ევოლუციისა სამხიარულოდ მათშიაცა ვხედავთ.

ხოლო კავკასიელ ერთა შორის ასეთ სასურველ ევოლუციისათვის სრულებით არ არის საჭირო ძველი მტრობის კვლავ გახსენება და იმას მოგონება თუ ვინ ვის გაულო კარი და ამით ბოლო მოულო კავკასიის არსებობას. არც წერა იმაზედ, რომ საქართველო „მუდამ რჩებოდა მებრძოლი აღმოსავლეთისა და ნაწილი დასავლეთისა“. ჩვენ „კავკასია“-ს დასის ქართველობას ევროპიელობაზე უარი არ გვითქვამს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვინდა მუდამ დავრჩეთ „მებრძოლი აღმოსავლეთისა“. იქნებ წარსულშიაც ბევრი გვავნო ამ „მებრძოლობამ“. ყოველ-შემთხვევაში, დღეს აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა ამ პოლოტიკის გაგრძელების ნებას არ გვაძლევს.

ან რა „გულწრფელი და ნამდვილი“ კავკასიური პატრიოტობაა აღმოსავლეთის მებრძოლობაზე წერა, როდესაც აღმოსავლეთისადმი სიმპატიებს ჩვენი მუსულმანი მეზობლებისა ჩვენ ანგირიშიც უნდა გაუწიოთ და პატივიც უნდა ვცეთ. არც პოეტური მოგონება გიორგი ლასხიშვილის მოსაუბრე მთიელ მოხუცისა კავკასიის მზეზე, არის დღეს საჭირო. თქვენმა მორჩილმაც წაიკითხა ის წიგნი და მალამოდაც მოხვდა გულს სწორედ ის ადგილი.

საუბედუროდ, ეს ამბავი შორეულ წარსულს ეკუთვნის. სულ ახლო წარსულში კი, ჩვენი უგუნური მეთაურობის წყალობით, საწინააღმდეგო დავამტკიცეთ და რად გვიკვირს, რომ ჩვენი მეზობლები დღეს სწორედ ამას გვისაყვედურებენ. ჯერ ერთი, წარსულით ტრაბახი რომის ცნობილ ფრინველებს გვამსგავსებს და მერე, ვისაც კავკასიის კონფედერაცია სწამს და სურს, იმას ერთა თანასწორობაც უნდა სწამდეს. მეგობრობა მხოლოდ თანასწორებაზე ფუძნდება. ხოლო კავკასიელობა ჩვენ ხელს არ გვიშლის კვლავ შევიძინოთ წარსული დიდება ჩვენი ფიზიკური, მატერიალური და მორალურ ძალების განახლებით.

ჩვენ იმედი გვაქვს ქართული სისხლის სიძლიერისა, და თუ მომავალში ქართველობას გონიერი მეთაურობა ეყოლა, ეს სიძლიერე ისევ თავს იჩენს. ქართველობაც ბუნებრივ ადგილს დაიჭირს კავკასიელ თა-

ვისუფალ ერთა კავშირში. ჩვენ არც ვართ მომხრენი კავკასიელთა ათ-ქვეფისა. არ ვიცი, რად წარმოიდგინეთ კონფედერაცია შესაძლებელ ათქვეფად. მე ვერ გავბედავ თქვენ მიგითითოთ, თუ რა ფორმას ერთა კავშირისას ჰგულისხმობს კონფედერაცია. ეს თქვენ ჩემზედ უკეთ მო-გეხსენებათ. როგორათაც არ ვეთანხმებოდეთ ზოგიერთ თქვენს მიერ ნაბრძანებ აზრებს, ჩვენთვის საგულისხმიერო და საინტერესო იქნებოდა მათი მოსმენა.

ძალიან ვნანობ კი, ბატონო მიხაკო, რომ თქვენ კავკასიის პრობლე- მის გაშუქების საჭიროება მხოლოდ მაშინ მოგაგონდათ, როდესაც ჩვენ- ზედ უსამართლო ლაშქრობა ისურვეთ. როდესაც ჩვენი, ანგარებით, შურით და დაბალი ზრახვებით აღსავსე მოწინააღმდეგენი ჩვენს წინა- აღმდეგ ლაშქრობენ, ეს ჩვენში მხოლოდ ლიმილს იწვევს. ხოლო რო- დესაც თქვენი კალაში არამორალურ აღამიანთა არგუმენტებს სესხუ- ლობს, ეს იწვევს აღშფოთებას.

თქვენც „თურქოფილობას“ გვიბრძანებთ. რა არის, ბატონო მიხა- კო, ეს ჩვენი თურქოფილობა, თუ არა თქვენ მიერვე ნაბრძანები აზრი, რომ „ოსმალეთმა უნდა აღასრულოს თავისი როლი კავკასიის მოსალო- დნელ განთავისუფლებაში, როგორც ჩვენმა უშუალო მეზობელმა“.

ვითარცა რეალისტები, ჩვენ ამ, თქვენ ნაბრძანებ აზრს, ვანკითა- რებთ და ოსმალეთთან კეთილი, ურთიერთ ნდობაზე დამყარებულ განწყობილების დამყარებასა ვცდილობთ. ოსმალეთი, გარეშე ასეთნაირ განწყობილებისა, თქვენ მიერ ნაბრძანებ როლს ვერ აღასრულებს.

მხოლოდ ჩვენს „სუპერ-პატრიოტებს“ შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ დღეს ოსმალეთის დამეგობრება შესაძლებელი გახდება ქართულ- სომხური ირრედენტის გალვიძებით. დისერტაციები საუკუნეთა განმავ- ლობაში არსებულ თურქულ-ქართულ მტრობის შესახებ, დღესვე ანგა- რიშების წაყენება ოსმალეთისათვის და მოთხოვნა „წარტაცებულისა და წანაგლეჯ მამაპაპთა სამკვიდრებელის“, წარტაცი პატრიოტული პოზაა ნორჩ და ახლად მონათლულ პატრიოტებისათვის, ხოლო თქვენ- თვის, ქართული პოლიტიკის ვეტერანისათვის სრულიად შეუფერებე- ლი. პატრიოტული რომანტიკით თავის გართობის სურვილს ვერავის დაუშლით, მაგრამ პოლიტიკურ დაჯგუფებას, რომელსაც სიტყვა საქ- მედ უნდა აქციოს სხვა პასუხისმგებლობა აწევს. ამ პასუხისმგებლობის შეგნებულ ჩვენ წრეს, კავკასიის განთავისუფლების ერთ-ერთ აუცილე- ბელ პირობად ოსმალეთთან მეგობრული კავშირი მიაჩნია. ამ მეგობრო- ბის მიღწევა კი შეუძლებელია დღეს არსებულ სტატუს-კვოს მიღებას გარეშე. განა საკითხის ასეთნაირად დაყენება მოასწავებს ისეთ „დანა- შაულს“, რომ თქვენც გაბოროტებულ აღამიანებს აჰკვეთ და ჩვენს წა- ნალმდეგ მოიმართოთ?

მერე გაქვთ კი თქვენ პირადათ ამის უფლება? ტრადიცია ოსმა- ლეთთან მეგობრობისა თქვენ დააფუძნეთ, ბატონო მიხაკო, ჩვენს საუ- კუნეში. იყო თუ არა ოსმალეთი „ნამდვილი მომხრე“ საქართველოსა და კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისა, ან რა სტადიაში იმყოფებოდა

თურქთა „მიზანი ოსმალეთის ზრდის დამთავრებისა ჩრდილოეთით“, როდესაც, დიდი ომის დროს, თქვენ და თქვენი პატივცემული მეგობრები ოსმალეთთან თანამშრომლობდით და მასთან ხელშეკრულებაშიაც იმყოფებოდით? თქვენ ეჭვებს ამ მიმართულებით, თქვენთვის ხელი არ შეუშლია ოსმალეთთან კავშირისათვის და რად გვესვრით დღეს ჩვენ ქვას, როდესაც, თქვენებრ, ჩვენცა ვცდილობთ ოსმალეთის თანაგრძნობა და მეგობრობა შოუპოვოთ საქართველო-კავკასიის საქმეს.

დიდი ომის შემდეგ ოცმა წელმა ძლივს განვლო და უკვე რაოდენ ცვლილების მომსწრენი ვართ: განა ადვილად წარმოსადგენი იყო ფრანგულ-გერმანულ არსებულ ურთიერთობის შედგომა მიუნხენის გეზ-ზედ? რად არ უნდა დავიჯეროთ, ახალ ოსმალეთშიც შესაძლებელი და ჯერ გაუმულავნებელი ევოლუციის არსებობა. ბოლოს, საიდან გამოიტანეთ ის დასკვნა, რომ კავკასიური პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენ მხოლოდ ოსმალეთისკენა გვაქვს მიპყრობილი თვალი.

ოსმალეთის კეთილი განწყობილების მოპოება საინტერესოა ჩვენთვის როგორც უშუალო მეზობლისა. კავკასიური პრობლემის გადასაწყვეტად და ჩვენი არსებობის განსამტკიცებლად ჩვენც ვიცით ვისი იმედიც უნდა ვიქონიოთ და სწორედ იქითქენ არის ჩვენი გულისყური მიპყრობილი. პატარა ობიექტივობით თქვენ ამას ადვილად დაინახავდით ჩვენს „პოლიგლოტ“ უურნალში. მაგრამ, რადგან რაღაზედაც გამწყრალი ბრძანდებით, ჩვენს გამოცემებში მხოლოდ აღმაშფოთებელ რამეს ეძებთ. ჩვენდა სასიამოვნოდ თქვენ იქ ასეთს ვერაფერს იპოვით.

ჩვენ კი ბევრი რამ აღმაშფოთებელი ვიხილეთ თქვენს წერილში.

ბატონო მიხაკო, თქვენი წერილის გულწრფელ ალკარებად მიღებას გვიბრძანებთ. მეც ძალიან მინდა თქვენი გულწრფელობა დავიჯერო. ვერ გამიგია კი როგორ ათავსებთ „ლრმად პატივისცემას და სიყვარულს“ ჩვენი უფროსებისადმი; თქვენი კალამისათვის არასაკადრის ინსინუაციებთან. რა გნებავთ გვიბრძანოთ როდესაც სწერთ: „ნამდვილი ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ მისთვის („კავკაზი“-სათვის) ბევრი მოსაზრებით, შეიძლება არც იყოს მიზან-შეწონილ და ხელსაყრელი“-ო. რა არის ეს მოსაზრება? თუ ლრმა პატივისცემის და სიყვარულის ნიშნად, მოშხამულ აღამიანთა ნაჩურჩულებ ჭორების დასტამბულად მორთმევა გსურთ?

მართალია, ჩვენს გამოცემებს ვიწრო იდეოლოგიური ხასიათი არა აქვს, იგი უფრო მეტად კავკასიელების მისწრაფებათა პრაქტიკულ განხორციელებას ემსახურება. ხოლო ანტიმარქსიზმი, დღეს ხომ ფუძე და დასაყრდნობია ჩვენი განმანთავისუფლებელი მოძრაობისა. სწორედ ანტიმარქსისტულ ძალების ბარბაროსულ რუსეთზე გამარჯვების იმედით ვსულდგმულობთ ჩვენ. ვინც ჩვენ გამოცემებში სხვა რამეს პოულობს, მისი აღსარება, ჩვენდა სამწუხაროდ, გულწრფელად ვერ ჩაითვლება. ან შეიძლება იმავე „ლრმა პატივისცემისა და სიყვარულის“ ნიშანია, ჩვენი „საქართველოს წინააღმდეგ ცხადათ გაშლილ ფრონტში“ მოთავსება. და ეს თურმე იმიტომ, რომ ჩვენ „საკოდავ მენშევიკურ

მთავრობას“ ვებრძვით. როდის შემდეგ მიიჩნიეთ თქვენ სინონიმად უვარგის და ქვეყნის დამლუპველ მთავრობის კრიტიკა და მასთან ბრძოლა, ქვეყნის მტრობად. ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ „მენშევიკურ მთავრობის“ გაკილვით და მისი დანაშაულის მხილებით, ჩვენ სწორედ ნამდვილ საქართველოს ვიცავთ. და ბოლოს რას ნიშნავს თქვენი, მართლაც „ძალიან მოხერხებულად“, მენშევიკური მთავრობის ხელის დაფარება. მომასწავებელი ხომ არ არის ეს — თქვენი, ამდენი ხნის, მენშევიკებისადმი მტრული დამოკიდებულების შეცვლისა და ბერლინიდან გამოხმაურება საერთო და პატივცემული მეგობრის ამ მიმართულებით ევოლუციისა? თუ ჩვენი თაობა ძნელად გაიგებს ვინმესაგან დღეს გამომულავნებულ სურვილს მენშევიკებთან გაწყვეტილ ურთიერთობის კვლავ ალდგენისა, იგი ვერასოდეს ვერ შეურიგდება და აღშფოთდება კიდევ ჩვენი მასწავლებლის, მიხა წერეთლის ასეთი ფერისცვალებით.

ასეთი შეურიგებლობის და აღშფოთების უფლებაც ჩვენს თაობას თქვენს მიმართ მოპოებული აქვს.

მე შემთხვევა მქონდა აღმენიშნა, რომ ქართული ეროვნული ახალ გაზრდობის შერიგება უორდანიას წრესთან შეუძლებლად მიმაჩნდა, რადგან ის აღზრდილი იყო მენშევიკების სიძულვილში. ვინ იყო თუ არა თქვენ, ბატონო მიხაკო, საუკეთესო და უსაყვარლესი აღმზრდელი ჩვენი თაობისა, ამ მიმართულებით.

ჯერ კიდევ საქართველოში, უწვერულვაშო ბავშვები ყოველ სიტყვას თქვენს შესახებ, ჩვენს ახლო-მახლო თქმულს, აღტაცებით ვიჰერდით. თქვენს სიტყვას, ილიასადმი მიმართულს, ზეპირად ვსწავლობდით. თქვენს წიგნს „ერი და კაცობრიობა“, არჩილის მიერ კარგ წიგნად წოდებულს, გაშმაგებით დავეძებდით.

თქვენი ხილვა ჩვენთვის მუდმივ სანატრელ და საოცნებო საგნად იყო ქცეული. სამუდამოდ დამრჩება მეხსიერებაში ჩვენი პირველი შეხვედრა. რა ბედნიერი და ახალგაზრდულად ამაყი ვიყავი ჰაიდელბერგში — თქვენი, ჩემს სტუდენტურ ჭერ-ჭვეშ მობრძანებით. აქ, პარიზში, ახალგაზრდათა პატრიოტულ ორგანიზაციის ჩასახვისთანავე ვის მივმართეთ პირველად ჩვენი ხელმძღვანელობისათვის, თუ არა თქვენ.

ჯერ პირობა, შემდეგ ყოყმანი „ძველი გულისა და ახალი ლვინის“ მომიზეზებით, შემდეგ მაინც ჩვენი სანატრელი წადილის შესრულება.

რად მოილტვოდა ასეთნაირად თქვენსკენ ჩვენი თაობა? მხოლოდ იმიტომ რომ თქვენში ის ხედავდა შეუდარებელ ქართველ ნაციონალისტს, შეურიგებელ ანტი-მენშევიკს, თუ გნებავთ, შეურიგებელ ანტიმარქისტს. ათეული წლების განმავლობაში, წერით თუ კერძო საუპრით, ახალთაობაში ჩვენი ქვეყნის მორალურ და ფიზიკურად გამანადგურებელ მენშევიკებისადმი სიძულვილს და შხამსა სთესავდით. მენშევიკებს მძრწოლარე ბოროტ სულად ნათლავდით და მათ მეთაურობას ანტროპოლოგების შესასწავლ საგნად იმჩნევდით, რათა გამოერკვიათ, რომელი კატეგორიის კრიმინალებს ეკუთვნოდნენ ისინი.

ჩვენ, თქვენს მოწაფეებს, ჩვენი შეხედულება მენშევიკებისადმი და

საერთოდ მარქსიზმისადმი არ შეგვიცვლია. თქვენ კი, დღეს, მეტის მეტი მიამიტობით გვეკითხებით, თუ რას ვერჩით მენშევიკების მთავრობას და „რა არის „კავკაზი“-ს მიერ ასეთი დაუსრულებელი დაუინებით და სიძულვილით ბრძოლა უორდანიას მენშევიკური მთავრობის და მენშევიკების წინააღმდეგ“?

რა უნდა გიპასუხოთ, ბატონო მიხაკო, თქვენ ასეთ კითხვებზე, ყველა ზემოდ მონახსენების შემდეგ? ჩვენ დაგვრჩენია მოგახსენოთ ჩვენი გულის ტკივილი თქვენ მიერ ჩვენს მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე.

რაც არ უნდა „მოგვთხაროთ“, რაც არ უნდა უსამართლო იყოთ ჩვენს მიმართ, ჩვენ თქვენს მიმართ პატივისცემას და სიყვარულს გულადან ვერ ამოვიღებთ, ერთის პატარა პირობით, რომ შემდეგში აღარ შეგვეკითხოთ თუ „რას ვერჩით“ მენშევიკობას.

თან მცირე იმედსაც ვიტოვებთ, რომ ეს კითხვაც და მთელი წერილიც ნაყოფია თქვენი წუთიერ უგუნებოდ ბრძანებისა, ან კიდევ ავი კაცისაგან ავი სიტყვის ყურში ჩაწვეთებისა.

განქრება უგუნებობა, განქრებიან ავნი კაცნიც, ავი სიტყვაც და თქვენც იხილავთ ჩვენს სიმართლეს და თქვენს უსამართლობას.

მიხეილ კედია



მენავავიკების ლამაზიაციები

უურნალ „დამოუკიდებელ საქართველო“-ს უკანასკნელ ნომერში (№ 150) ხელმოუწერელი პასუხია პოლონურ „გაზეტა პოლსკა“-ს 31—8—38 წ. და 1—9 თარიღით მოთავსებულ, ფრიად მნიშვნელოვან და დამახასიათებელ წერილზედ, ბ-6 ვიტოლდ იპოპორსკი-ლენკევიჩის ხელმოწერით. ქართველი საზოგადოება უნდა იცნობდეს უკვე პოლონეთშიაც გახუნებულ ჩვენი მენშევიკების ხამსა, რომ საღად არჩევდეს ყოყლობინა დემაგოგიას, რეალური მდგომარეობისაგან. ამიტომ უადგილო არ იქნება ამ „დაპრესილ“ დიალოგის გარჩევაც, პოლონელთა დაგვინებული გამოფხიზლების სხვა შუქებითაც.

„დამ. საქ.“ უცნობი ავტორი თავის წერილს არქმევს „მოულოდნელი მხრიდან“, თითქმ პირველად ესმოდეს მენშევიკების კრიტიკა... პოლონეთიდან. მაგრამ ასეთ თავის მოტყუების რწმენასაც, ეტყობა, წყალი შესდგომია, რომ წერილის კილო, შინაურ ფრონტზე ისეთი რიხიანი, საგარეოზე — სიბრალულს იწვევს:

„ავტორი ბ. ვიტოლდ იპოპორსკი-ლენკევიჩი დიდ სიმპატიებს ამუღავნებს ქართველი ერისადმი და თვით გაზეთიც, რომლის ფურცლებზედ ამას ვკითხულობთ, ხომ დაახლოვებულია ვარშავის ოფიციალურ წრეებთან. ჩვენ აბა მაღლობის მეტი რა უნდა გვეთქმოდეს! მართლაც, პო-

ლონელი ავტორის ზოგიერთი პარალელები მის ქვეყნისა და საქართველოს წარსულიდან, მაჩვნებელი პოლონელ და ქართველ ერთა თავგადასავლის, მათი განცდების, თვით ხასიათის მსგავსებისა, მიუხედავად რასიულ თუ გეოგრაფიულ განსხვავებისა, მხოლოდ თბილ გრძნობებს გამოიწვევს ქართველი მკითხველის გულში ავტორისადმი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ცხოვრებაში, რომ კეთილი განზრახვა კიდევ არაა საკმაო გარანტია, რომ სათანადო სისწორითა და მიუღვიმლობით დაათასო ესა თუ ის მოვლენა. ამისათვის პირველ ყოვლისა, საჭიროა საგნის ცოტა სერიოზული ცოდნაც. და ამ მხრივ კი, უნდა გამოვტყდეთ, ბ. იპოპორსკი-ლენკევიჩ ერთობ ლარიბია. მართლაც ზოგიერთ თავის გაბედულ დასკვნებისათვის ის იმოწმებს მარტოოდენ ორ წყაროს და ისიც ისეთებს, რომელსაც არ შუძლია მცოდნე მკითხველის ღიმილი არ გამოიწვიოს. ერთი ამ წყაროთაგანი არის ქართველ ოფიცერ ქავთარაძის „ისტორია“, რომელსაც ამ გაზეთში შევხებივართ, თავის დროზე, და გვითქვამს: თუ ქავთარაძე ისეთივე „კარგი“ ოფიცერია, როგორიც ისტორიკოსი, ამას ჩვენ მას ვერ მივულოცავთთქმ. მეორე წყარო არის „კორრიერე დიპლომატიკო ე კონსულარე“, რომელსაც პოლონელი ავტორი განმეორებით „იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ორგანოდ“ ასაღებს! ეგ შეცდომა გაცილებით უფრო შეუწყნარებელია „გაზეტა პოლსკას“ თანამშრომელისათვის. ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით მოვახსენოთ მას, რომ ხსენებული ორგანო არამც თუ „ოფიციალური“ და არც „ოფიციოზური“ არ არის, არამედ სრულიად უპასუხისმგებლო პირთა წამოწყებაა და იმდენად უმნიშვნელო, რომ თვით მისი არსებობაც არ იცის ბევრმა იტალიელმა.“
 (მართლწერა „დამ. საქართველო“სია).

ამ გულუბრყვილო (?) აბზაცების ავტორსა ჰგონია, რომ ქართველი ერისადმი სიმპატია სავალდებულოა გავრცელდეს ყოველთვის მენშევიკებზედაც, თუნდაც თვით ქართველ ერისაც არა ჰქონდეს იგი, და, ქართველ ერისადმი სიმპატიის მატარებელ ავტორსაცაც გაზეთსაც ესმოდეს და ამტკიცებდეს (როგორც ესმის პატივცემულ ბ. ვ. იპოპორსკი-ლენკევიჩს), რომ სწორედ მენშევიკები არიან დამნაშავენი ქართველი ერის უბედურებაში.

„გაზეტა პოლსკა“-ს ინფორმაცია, არა გვგონია, მარტოოდენ ბ-ნ ი. ქავთარაძეს წიგნსა და „კორრიერე დიპლომატიკო ე კონსულარე“-ს ემყარებოდეს, როცა საქართველოში და მით უფრო საზღვარ გარედ, თვით მნშევიკების „ოფიციალური“ და ოფიციოზური ლიტერატურაც საკმარისი იქნებოდა იმავე დასკვნებისათვის. და არც ბ-ნ ქავთარაძეს წიგნია*) „ლიმილით“ ხელასაკრავი, რადგან ცხრა მეათედი იქ აღწერილი ამბებისა კეშმარიტებას შეიცავს და სწორედ ამიტომ არის, რომ

*) „ნა პუტიახ კ კონფედერაციი კავკაზა“. ვანო ქავთარაძე. ვარ-შავა 1937 წ. (რუსულად).

დღემდე ამ წიგნს „ლირსეული“ პასუხი ვერავინ გასცა: „ონ ა ფე ბონ
მინ ავეკ მოვე უ“ — ლიმილი ლრეჯასა ჰგავდა. და განა თვით დაბეჭდ-
ვა ამ წიგნისა ვარშავაში 1937 წ. ნიშანი არ იყო წყალის შედგომისა
მენშევიკებისათვის? ესეც არ იყოს, განა ჯერ კიდევ 1936 წ. პოლონურ
ურნალ „ვსხუდ“-ში, ომელიც ხელმძღვანელია მთელი „პრომეთეუ-
ლი მიმართულებისა“, არ იყო დაბეჭდილი, დასაბუთებული ვრცელი
წერილი პროფესორ ოლგერდ გორკესი, მენშევიკურ ხელმძღვანელო-
ბის უვარგისობაზედ კავკასიისა და საქართველოს საქმეებში, „რევო-
ლუციისა“ და დამოუკიდებლობის განმავლობაში?

ამ რიგად, „გაზეტა პოლსკა“-ს საკმაო ლიტერატურა მოექცებნება,
ალბად, და „დამ. საქ.“ ქართველი მკითხველისათვის „ალარიბებს“ ბ-ნ
იპოპორსკი-ლენკევიჩის „ცოდნას საგნისას“, რომ ფასი დაუკარგოს.

ამის შემდეგ, უურ. „დამ. საქ.“ ჰკარგავს წონასწორობას და ვარშა-
ვისა, რომისა და ქართველი საზოგადოების თვალში, — ჩვეულებრივი
მენშევიკური სისტემით, ზოგისა დაბეზლებით, ზოგისა თავზე ხელის
წასმით და სოც. დემოკრატიის განდიდებითა სცდილობს ლელოს გატა-
ნას:

„თეთრი გიორგი“ არაფერს არ წარმოადგენს; „სოც. დემ. პარტია
მართველი პარტია იყო თავისუფალ საქართველოში და დანარჩენი სამი
პოლიტიკური პარტიის მეთაურნი საქართველოს მთავრობასთან თანა-
მშრომლობენ უცხოეთში ერთ ეროვნულ ცენტრში. რა ასულდგმულებს
ამ დაჯგუფებას თავის მოღვაწეობაში? სამშობლოს დახსნა მოსკოვი-
ტების ტყვეობიდან, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა. სხვა ამოცანა
მისთვის არ არსებობს და ცდილობს ყველა ქართველ ემიგრანტ პატრი-
ოტების ერთ დროშის ქვეშ თავმოყრას.

„ამისათვის გასაგებია, რომ ჩვენ არ ვეწევით არავითარ ბრძოლას
იმაზე, რა რეუიმი უნდა არსებობდეს საქართველოში დლიდან მისი გან-
თავისუფლებისა; მით უფრო, რომ ამ კითხვის გადაწყვეტა ეკუთვნის
თვით სუვერენულ ქართველ ერს.“

საუბედუროდ მართალია, რომ სოც. დემ. პარტია იყო მართველი
პარტია, თავისუფალ საქართველოში, მაგრამ თავისუფალი ქართული
სოც. დემოკრატიული პარტია ბუნებაში არ არსებულა, რადგან ჩვენი
სოც. დემოკრატები იყვნენ განსაკუთრებით (ცალცალკე და ერთეუ-
ლადაც კი არა) რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიისა“, რამაც არა მარ-
ტო დალი დაასვა მათს ფსიქოლოგიას, დღემდე ამოუშლელი, არამედ
საქართველოს ბედში და ისტორიაშიც უმთავრესად უარყოფითი რო-
ლი ითამაშა.*)

*) მთელი ისტორიის გახსენბა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ დამახასია-
თებელი ეტაფები ასეთი იყო. რუსეთის ბოლშევიკურ გადატრიალებამ-
დე, მენშევიკები არამც თუ არა სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდე-
ბლობას, ან ავტონომიას, არამედ, განუყოფელი რუსეთის ტროიალით,
საქართველოს სახელსაც (1898—1918 წლები). რუსეთის „რევოლუცი-

რაც შეეხება „სხვა პარტიების მეთაურებს, რომელნიც თანამშრომლობენ საქ. მთავრობასთან ცენტრში“ — ეს გადაჭარბებული კვებნაა; და აი რატომ: ჯერ უკვე საქართველოში, მაგ., „სოციალისტ ფედერალისტთა პარტია“ სრულებით გაითქვითა ისე, რომ „ოპოზიციონი და სამაუესტეც“ აღარ იყო. „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია“, საქართველოშიაც ათიოდე წევრისაგან შესდგებოდა და საზღვარ გარედ მხოლოდ ორი პირია, რომელთაგან „ოპოზიციონერი“, „ცენტრის“ გარეშეა და „მორჩილი მოხელე“ ცენტრში შეყვანილი. დარჩა მესამე, — „პარტია ნაციონალ-დემოკრატიისა“, რომლის ყველა ყოფილი მეთაური და ცოცხალი ძალა ამ „ცენტრის“ გარეთაა და შიგ დასტოვეს ორიოდე უხმო მოხელე, რომლებსაც სხვა და სხვა დროს „მთავრობა და მართველი პარტია“ ... ბოლშევიკების აგენტებად აცხადებდა საჯაროდ და წერილობით.

მოყვანილ აბზაცის სიტყვები კი: „...ცდილობს ყველა ემიგრანტ პატრიოტების ერთ დროშის ქვეშ თავმოყრას“ და სიტყვებამდე: დღიდან მისი განთავისუფლებისა“ უკვე ისეთი მკვანე „სინამდვილის წინააღმდეგობაა“, რომ „დამ. საქ.“-სათვისაც კი უკადრისი. და თურმე „გაზეტა პოლსკა“ აწერს სხვებთან იდეოლოგიურ ბრძოლას. აი სადამდის მიღის...

„სიტყვა გაგვიგრძელდა — განაგრძობს „დამ. საქართველო“ — მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, თუ გინდ გაკვრით, პოლონელი ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, ვითომ საქართველოს მთავრობისათვის ხელი შეეშალოს მეორე ინტერნაციონალის დოქტრინას შეექმნა ძლიერი შეიარაღებული ძალა და გადაერჩინა ქვეყანა წითელი ჯარის შემოსევისაგან! ჩვენ კი გვეგონა, რომ მეორე ინტერნაციონალს ის „დანაშაული“ მიუძღვის, რომ ზოგიერთმა მის გავლენიანმა წევრმა რეალუ-

ის „წყალობით (საქართველოში არავითარი რევოლუცია არ მომხდარა), ჯერ „ოზაკომის“, მერე „ზაკომის“ და ბოლოს „საქართველოს მთავრობის“ სახელით, — საქართველოს ყოველგვარი ნებაყოფლობის გარეშე, თავს მოხვეული ჰყავდა, „რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის“ ძალაუფლება. თვით კავკასიის მეფის მოადგილემ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, იძულებით წასვლის დროს, გადასცა კავკასიის „მართველობა“ ბ-ნ ნ. უორდანიასა და ა. ხატისოვს, როგორც მთლიანი რუსეთის მებაირალტრეთ. ნულარას ვიტყვით იმაზედ, თუ როგორ იძულებული იყო მენშევიკური მეთაურობა გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც ისეთი ტირილით გამოისახა თვით „დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტში“.

რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ასეთმა ხალხმა ვერ შეითვისა ვერც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება და, მით უფრო, ვერც ქართული ეროვნული სული, რომლის ყოველნაირ გამომულავნებას მხოლოდ სდევნიდა

რად შეუწყვეს ხელი საქართველოს ჯერ ფაქტიურად და შემდეგ იურა-
დიულად ცნობას, ხოლო ვერსალის ზავის ავტორებმა ერთი თოვთიც არ
გაიმეტეს მისთვის თავდასაცავად“.

რასაკვირველია, პოლონელი ავტორი სცდება, რომ მარტო მეორე
ინტერნაციონალის დოქტრინამ შეუშალა ხელი საქართველოს მთავრო-
ბას ჯარის შექმნაში, მაგრამ ფაქტი კი ნამდვილია, რომ საქართველოს
მთავრობას თავისი საკუთარი ჯარისა (და გვარდიისაც) უფრო ეშინო-
და, ვიდრე მტრისა და მიუხედავად იმისა რომ დამფუძნებელმა კრებამ
მიიღო ბიუჯეტი 67,000 ჯარის შენახვისათვის, არასდროს ამის შემდეგ
და ბოლშევიკებთან უკანასკნელ ომის დროსაც, საქართველოს ამის მე-
ოთხედიც არა ჰყოლია... თუმცა „ვერსალის ზავის ავტორების“ ბრალი
არ არის, რომ ბოლშევიკებმა, თბილისში შესვლის დროს, მონახეს ხელ-
უხლებელი 17,000 თოვთი და ამუნიცია, ქუთაისში შესვლის დროს —
300 ახალთახალი ტყვიისმფრქვეველი და... ჰაეროდრომზე — როცა სა-
უკეთესო მფრინავები გვყავდა — 10 ხელუხლებელი, სწრაფი, კიწკიწა
ჰაეროპლანი ...უგარგოილოდ; როცა თითონ ბოლშევიკებს სამიც არა
ჰქონდათ.

„მაგრამ ბ. იპოპორსკი-ლენკევიჩ სასტიკი წინააღმდეგია ყოველ
„ობიექტიური მიზეზების“, რომელიც არაფერ შუაში ყოფილა საქარ-
თველოს წაქცევაში, არამედ ისინი უნდა ვეძიოთ „ფსიქიკაში და მაშინ-
დელ ქართველ ხელმძღვანელთა მანტალიტეშიო“ — ამბობს ის. ჩვენი
კრიტიკოსის „მანტალიტეს“ სანიმუშოდ საკმარისია მოვიტანოთ მისი
საუკედური, რომ „გეოგრაფიული კონფიგურაცია არ გამოვიყენებია
და კავკასიის ულელტეხილები არ გაგვიმაგრებია“! როგორ მოგწონთ ეს
არგუმენტი? იქნებ არც კი იცის მისმა მომმარჯვებელმა, რომ წითელი
ჯარები ამ ულელტეხილების გადმოლმა იყვნენ და გვიტევდნენ სომხე-
თიდან, აზერბეიჯანიდან, შავი ზღვიდან!“

არა გვვონია ბ-ნი იპოპორსკი-ლენკევიჩი წინააღმდეგი იყოს „ობი-
ექტიურ მიზეზებისა“, მაგრამ ალბად არ იცის ჩვეულებრივი მენშევი-
კური მოძახილი: თუ რასმე გააფუჭებენ თითონ, ეს „ობიექტიური პი-
რობების“ ბრალია, და თუ რამე შემთხვევით ალჩუთ დაუჯდათ, ნაცარ-
ქექიებისავით გაიძახიან: ეს ჩვენი გაკეთებულიაო. არსებითად ბ-ნი იპო-
პორსკი აქაც მართალია და მისი არგუმენტიც სწორე: 7 მაისის ხელშე-
კრულობით ჩვენ ვალდებული ვიყავით საზღვრები არ გაგვემაგრებინა;
და კავკავის გზა და შავი ზღვის გზაც, რამდენადაც გვახსოვს „გეოგრა-
ფიული კონფიგურაცია“, კავკასიის ულელტეხილებით შეძლდის საქარ-
თველოში.

უკანასკნელი აბზაცი ხომ ძველი თამასუქის წარდგენა და სანტი-
მენტალური ლამენტაცია არის:

„კმარა, ნუ შევჩერდებით ამეებზე. გვინდა მხოლოდ ერთი მშვე-
ნიერი სურათი გავიხსენოთ. რუსეთის რევოლუციიდან ერთი თვეც არ
გასულიყო, როცა საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტს პოლონელთა
დელეგაცია ეწვია დიდის ზეიმით და მხურვალე მადლობა გამოუცხადა

თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს პოლონეთის დამოუკიდებლობის ცნობისათვის, რომელიც სწორედ საბჭოებმა უკარნახა ლვოვ-მილიუკოვის დროებით მთავრობას.

მაგრამ აღარაა კარლო ჩხეიძე, ისე როგორც აღარაა პოლონეთის დიდი მარშალი იოსებ პილსუდსკი. სამაგიეროდ, მათი ხსოვნა თავდებია, რომ ქართველ და პოლონელ ერთა მარადიულ მეგობრობას ერთი იოტითაც ვერ შეასუსტებს ისეთი კრიტიკა, რომელიც ზევით დავახასიათეთ“.

რა შუაშია საქართველო, რომ რუსეთის საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე, პატივცემული კ. ჩხეიძე, იღებს პოლონელების მადლობას? მაშ ეხლა რომ სტალინმა ჩინეთს დარალი გაუგზავნა, ან წითელ ესპანეთს, საქართველოს შეუძლიან ჩინეთსა და ესპანეთს თამასუქი წარუდგინოს, რაკი სტალინი ქართველია?

და ქართველი და პოლონელი ერის მეგობრობაც, რასაკვირველია, ვერ შესუსტდება სამართლიანი და ზედმიწევნითი კრიტიკით ყოფილი მთავრობისა.

**



გ-5 მიხეილ წერეთლის აღსარება

მ. წერეთლის წერილს, მოთავსებულს „თეთრი გიორგის“ 103 ნომერში თითქმის ნახევარი გაზეთი უჭირავს.

წერილი, რასაკვირველია, საყურადღებოა არა ამ მოსაწყენი სიგრძით, არამედ შინაარსით. საჭირ-ბოროტო საკითხებზე საქმიანი მსჯელობა აუცილებელიც არის; წერილს კი ეძლევა აგრეთვე ძლიერი პირადი განცდის ხასიათიც: ავტორი მას აცხადებს თავის გულწრფელ, სრულ და მოურიდებელ აღსარებად. ამით მისი მნიშვნელობა მატულობს მათვეის, ვინც თავის თავსაც სთვლის მიხა წერეთლის შეგირდ-მოწაფედ და, ბუნებრივია, განსაკუთრებულად მიიპყროს გულისყრი იმათთაგანის, ვისაც საქმიანობის ნიადაგზე წილად ხვდა ბედნიერება მასწავლებელთან თანამშრომლობისა.

ამ აღსარებაში სასტიკი და მკაცრი კრიტიკა-დარიგება და, დიდი უკმაყოფილებით გამოწვეული, გულის წყრომა მულავნდება საგრძნობი აღშფოთებით.

ამ მუმნებარე აღშფოთებას, თითქოს რისხვადაც ქცეულს, უნდა გაუწიოთ დიდი ანგარიში: — ძველ მებრძოლ მამულიშვილს წარმოუდგება საქართველო შელახული თავმოყვარეობით, უსამართლოდ დამცირებული, ულმობელად დასჯილი, — მენშევიზმის „ტრალედიის“ გამო, და ეროვნული აზროვნების მეთაურთაგანი შეიძლება მიეცეს მწარე ფიქრებსაც; და იგრძნობს რა „რასიულ“ ნათესაობას ქართულად

მოლაპარაკე მენშევიკებთან და სულ-მოქლე რესპუბლიკასთანაც, თითქოს მზად გახდება რაინდულად იყისროს პასუხისმგებლობაც, უკვე შორეულ „ტრალედიის“ და გამოვიდეს დამცველად იმ „მენშევიკების მთავრობისა“, რომელიც მისთვის: „მაშინ საქართველოს მთავრობა იყო და ახლად ფეხზე დამდგარ სახელმწიფოს და მის მთავრობას ყველამ წინამდებრი ჩატკრა“-ი.

აქ არის სწორედ ის გაორება, რომელიც მუდამა ქმნიდა „ტრალედიას“. გაორება პატრიოტის გულისა, რომელსაც „სული ბოროტი“ მუდამ იყენებდა და დღესაც არ მოერიდება არც აღსარების გულწრფელობას და არც პირად განცდათა სიფაქიზეს და ეცდება სრულად და მოურიდებლად მამულიშვილის გოდება გადააჭციოს იარაღად თავისი ბოროტი საქმიანობისა.

მ. წერეთელი იტავის, რომ ის არ იცავს „მენშევიკების მთავრობას“, მაგრამ: „არც მთაში და ბაქოში მჯდარან ბისმარკები, არც ერევანშიო!“ მისი აზრით: „შევიწროებულ საქართველოს მთავრობას შეიძლებოდა მეტი დაეთმო ოსმალეთისათვის, კიდევ უფრო შევიწროებული იგი რუსეთის მთავრობამ მოატყუაო“ და სხვ.

სხვათა უვარგისობის, თუნდაც სამართლიანი დამოწმება, მაგრამ „მენშევიკების მთავრობის“ შეცდომათა შესამცირებლად; იმ „საცოდავ მთავრობის“ დასაცავად „რომელსაც ყველა აბუჩად იგდებდა და მრავალი ღალატობდაო“, და, საერთოდ ეროვნულ თავმოყვარეობის ნიადაგზე მენშევიკების მთავრობის ცოდვათა შემსუბუქების სურვილი—იქცევა პოლიტიკურ ასპარეზზედ, ნამდვილ პოლიტიკურ დაცვად, რომელსაც ვერ დაჩრდილავს უბრალოდ თქმული სიტყვიერი ფიცი: „არ ვიცავო!“.

რასაკვირველია, სხვა არის საქციელი დამარცხებული რესპუბლიკის პატიოსანი მოქალაქისა, რომელიც სხვა და სხვა საშუალებით და საგრძნობი სიამაყითა სცდილობს დამლუპველი მთავრობის წარსულ შეცდომათა დაფარვას, და სულ სხვა არის ბრძოლა და მოქმედება შორს მჭვრეტელი პოლიტიკოსის და იდეოლოგისა მომავლის აღსაშენებლად. როგორც მებრძოლი იდეოლოგი, მიხა წერეთელი ჩვენ გულში ნიადაგ იგივე იყო და გონებრივად კი უფრო მახლობელიც გახდა, როცა სავსებით მიემხრო ეროვნულ სახელმწიფოს ახალ გაგებას.

ამ გაგების ძალით კი, და განსაკუთრებით ჩვენ პირობებში, აუცილებელია უბოდიშოდ და უყოფანოდ მენშევიზმ-მარქსიზმის და მის ნეშტთა დამარცხება-დამარხვა, რაც გაგვიადვილებს საგარეო მოქმედებასაც. საგარეოდ თუ საშინაოდ, ეროვნული მისწრაფებისათვის მიზან-შეწონილი საქმიანობა, მისი შეგუება მსოფლიოს ახალ მოვლენებთან და სახელმწიფოთა ურთიერთობის ვითარებასთან, არის პოლიტიკოსის მოვალეობა; და ამ გონებრივ ნიადაგზე — „მიწიერი ზეციერსა“ მაინც ემორჩილება მათთვის, ვისაცა აქვს უზენაესი ჭეშმარიტების რწმენა.

ამ რწმენით აღჭურვილ რჩეულ-უკეთესთათვის, რაც უნდა არსებობდეს გეზთა და გზათა სხვადასხვაობა ან მეთოდის, ხშირად მხოლოდ ვა-

რეგნული, წინააღმდეგობა, — თუნდაც ნამდვილი წინააღმდეგობა იმავე უმაღლესი მიზნის მისაღწევად, — აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს ან მოქმედების უამსა, ამ რჩეულთა შორის ნიაღაგ უნდა რჩებოდეს მტკიცე კავშირად — საერთო ზნეობა, საერთო პატიოსნება, თუ ისინი მართლაც უკეთესნი არიან: პატიოსან მტერთა შორის მოციქული—ნამუსია.

მათთვის დაუშვებელია ჭეშმარიტების გაიაფება და უზენაესის გაფლანგვა, დაუშვებელია საკუთარი და პირადი განუხორციელებელი ოცნებისათვის მოყვასთა მსხვერპლად შეწირვა, ან და არა მიზანშეწონილად იდუმალ განცდათა გამომუღავნება, გულის ნადების უმიზეზოდ საჯაროდ მოყრა, და მეტადრე დაუშვებელია უსაბუთო ეჭვის გამოქვეყნება, მისი გაზიარება არა მიწევნილთათვის, და ამით, საზოგადოებრივ ხარისხთა უარყოფით, — საზოგადოების არეულობისათვის ხელის შეწყობა. და თუ ეს დაუშვებელია საერთოდ, პოლიტიკურ ასპარეზზელ, განსაკუთრებულ პოლიტიკურ მსვლელობის უამს, — პირადი აღსარება „ანტიმარქისტისა“, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს საჭურველად „მენშევიკების ფრონტის“ — გაძლიერებისა და გაფართოების.

მიხა წერეთელი ამ დებულებას იცავდა მაშინაც, როცა ამხილებდა „სულო ბოროტის“ გუნებას და თავის უკანასკნელ აღსარებაშიც იზიარებს, როცა შეეხება კავკასიის პოლიტიკურ მოღვაწეთა და მთაზრეთა მუშაობას: „მაგრამ სწორედ აქ არის საჭირო მოფიქრება ყოველი დებულებისა და სიტყვისა, გაზომვა მათი მნიშვნელობისა და მათი თქმის შედეგისა, სრული გულწრფელობა, როცა ეს საჭიროა და სრული სიჩუმე, როცა თქმა არა სჯობსო“.

ეს თეორიული დებულება, არა ერთხელ განმეორებული, უნდა იყოს ბოლოს და ბოლოს პრაქტიკულადაც დაცული ყველას მიერ და ყველას მიმართ და განსაკუთრებულად კი მაშინ, როცა აუცილებელი და საჭირო კრიტიკა-დარიგება შეეხება პატივსაცემ პიროვნებათ, მათ მეცნიერულ თუ პოლიტიკურ საქმიანობას და საღაც ანგარიშ გასაწევია პირადი თავმოყვარეობაც, — ესაა „ანტი კომინტერნის“ ფრონტის სიმტკიცეც.

ამა თუ იმ „სილოგიზმის“ ძალით მენშევიზმთან მიზანშეწონილი ბრძოლა თუ მოითხოვს შესაფერ იდეოლოგიურ მრწამსსა, — შეუძლებელია, სხვა გრძნობათა ძალით, ამ იდეოლოგიის გონიერივ ნიაღაგზე მკვიდრად მდგომს, უფლება ჰქონდეს, მენშევიზმს იცავდეს იმდენად, რამდენად ის საქართველოს მართავდა; ნურც ამ დამცველობაზე ითქმის, მაგრამ არც სხვაზე უნდა ითქვას უსაბუთოდ რომ: „ნამდვილი ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ მისთვის ბევრი მოსაზრებით შეიძლება არ იყოს ხელსაყრელიო“.

„მენშევიკების“ ფრჩხილბში ჩასმით კი უორდანიას დაცვა — თითქო მომასწავებელია იმისა, რომ „უორდანიაც“ ფრჩხილებით დაიწერება მაშინ, როცა რომელიმე „ფაშიზმის, ნაციონალ-სოციალიზმის ან

ფაშიზმ-მონარქიზმის აღმსარებელი“ ოფიციალურადაც მოხდება მენ-შევიკთა გაფართოებულ ფრონტში.



მაგრამ მკაცრად უნდა გავაფრთხილოთ „გულუბრყვილო წამკა-თხველი“ — მიხა წერეთლის აღსარებიდან არ გააკეთოს ნაჩქარევი და-სკვნა და არ გამოიყვანოს, რისაც ნამდვილად არც უნდოდა თქმა აღშ-ფოთებულ. დამწერს; რაც უნდა იყოს ბევრი „საეჭვო“ და საყოყმანო მიხა წერეთლის აღსარებაში — მისი ეჭვი მაინც არ შეეხება ზოგ პირო-ვნებათა პატიოსნებასა და გულწრფელობას.

მართალია, მიხა წერეთელმა ისინი მიაკუთვნა „თითქოს ცხადად გაშლილ ფრონტს საქართველოს წინააღმდეგ“, და ეს ცოტა „საეჭვოდ“ არ მიიღოს იმ „გულუბყვილო ქართველმა“, რომელსაც ვერ დააკმაყო-ფილებს ვისიმე მხოლოდ „თითქოს ცხადად“ მოღალატედ გამოყვანა.

ნამდვილად კი მიხა წერეთელი გამოსთქვამს თავის ლრმა პატივის-ცემას ამ პირთაღმი და იტყვის კიდეც, რომ მათი „სიყვარული ლრმადა მაქვს გულშიო“. ამ სიყვარულის საგნად, რასაკვირველია, იგულისხმე-ბა არა რომელიმე უმნიშვნელო, თითქოს მოსატყუებელიც და აბუჩად ასაგდები ან მივიწყებული მოწაფე ან მცირე თანამშრომელი — არამედ ტოლ-მეცნიერი და ტოლ-მოაზროვნე.

მიხა წერეთლის მიერ მოხსენებული სიყვარული დიდად საგუ-ლისხმოა ჩვენთვის, უნცროსებისათვის, რაღანაც ჩვენცა გვაქვს მის-აღმი ლრმა პატივისცემა და დიდი სიყვარული. ჩვენი თაობის და ჩვენი უნცროსების საყურადღებოდ — სიყვარულის მნიშვნელობისათვის — უნდა მოვაგონოთ სხვა აღსარება, რომელიც, საუკუნეზე მეტის წინ, ამოძრავებდა ახალგაზრდობას. ამ აღსარებას უწოდეს „გივი ამილა-ხვარის აღსარება“ და მან შეასრულა თავისი დანიშნულება რჩეულთა შეკავშირებისათვის მაშინდელ რთულ და მეტად ძნელ პოლიტიკურ ბრძოლაში. ამ აღსარებაში ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ, მიუაზრით, საქართველოს ბეღნიერება არსებობდა მაშინ, როცა:

„აქვნდათ ივერთა სიყვარული კავშირად“ და „აწ გესლოვანთა მუ-ხლუხებრ ჩვენ შორის ჰათესეს მტრობა: კავშირი შეწყდა და მასთან ივერთა კათილდღეობა“—ო.

კავშირი საერთო ზნეობის და საერთო პატიოსნების უნდა დარჩეს ძალაში ჩვენ შორის დღესაც, მიუხედავად ზოგჯერ აზრთა სხვადასხვა-ობისა და არავინ ჩვენი თაობისა არ უნდა საბოლოოდ იქცეს ჭია-მუხ-ლუხად, რჩეულთა შორის ზნეობრივი ხილის ჩასანგრევად.

მაგრამ გრძნობათა გარეშეც და გონებრივი საჭიროებისათვის უნ-და მივაქციოთ „გულუბრყვილო წამკითხველის“ ყურადღება იმაზე რომ, ვინც უნდა იყოს „თ. გ.“-ის მკითხველი, მიხა წერეთლის აღსარე-ბის მომთხოვნი, და როგორ საყოყმანოდ არ უნდა იყოს აღსარების პა-სუხნი, მისთვის მნიშვნელოვანი „ლალატის“ ამოცანაში, — იმავე „თ.

გ.“ ნომერში არსებობს ამაზე უყოფანო საპუხიც: ლეო კერესელიძე, ბევრი ჩვენგანის, არსებული თუ ყოფილი პოლიტიკური იერარქიის მიხედვით, უფროსი და ამის გარეშეც მეგობარი და მასწავლებელი და „წ სრული პასუხისმგებელი გაზეთ „თეთრი გიორგის“ მიმართულებისა, -- მისთვის ჩვეულებრივი პირდაპირობით და გადაჭრითა სწყვეტს პატივ-საცემ პირთა (რომელთაც ასახელებს) მიყენებული შეურაცხვოთის საკითხს და აცხადებს: „ეს უსაძაგლესი ცილის წამება შეუძლებელია სინიდისიერმა ქართველმა გაიზიაროსო“.

ამ პასუხმა უნდა სავსებით გააქარწყლოს მითქმა-მოთქმა და ჭორა, გამართული მიხა წერტლის აღსარების გარშემო.

მისა წერეთლის ვრცელ წერილს ნამდვილ სათაურადა აქვს: „კავ-კაზი“-სათვის ჩემ შემკითხველთა საპასუხოდ“.

მიუხედავად იმისა, რომ დამწერი მას მთლიანადა სცნობს თავის აღსარებად, სინამდვილეში მისი ნაწერი ორად უნდა გაიყოს. მისი უდიდესი ნაწილი შეადგენს მეტად საყურადღებო ისტორიულ და ეთნოლოგიურ ნაწარმოებს, რომელიც ფრიად საჭიროც არის კავკასიის საკითხის გაშუქებისა და რთულ კავკასიურ ერთობისათვის სამუშაოდ; მეორე, მცირე ნაწილი კი იღებს პირადსა და ქართველთა შორის საშინაო ურთიერთობის მნიშვნელობას.

ჩვენ იძულებული გავხდით უფრო ვრცლად შევხებოდით სწო-
რედ ამ მეორე მცირე ნაწილს სადღეისო მწვავე ამოცანათა ზეგავლე-
ნის ქვეშ და უნდა გამოვსთქვათ დიდი მწუხარება, რომ აკადემიური ნა-
წილი მოხდა პირადი აღსარების ჩარჩოში. ამ ორ ნაწილთა შორის,
არსებითად ჩვენ ვერა ვხედავთ ვერავითარ კავშირს და გაერთიანებუ-
ლია იგი, ასე ვსთქვათ, ხელოვნურად, ან პირად საკითხთა გავლენით.

აკადემიური ნაწილი მ. წერეთლის წერილისა ჩვენთვის ახალი არარის, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი მთავარი და საფუძვლიანი ხაზებით — კარგა ხანია ცნობილი; იგი დაიბეჭდა ოთხი წლის წინად იმავე „თეთრი გიორგი“-ში (სახელდობრ № 78-79, ივლისი-აგვისტო 1934წ.) — სათაურით „ჩვენი ერთობისათვის“.

მაშინ მიხა წერეთელს „კავკაზი“-სადმი სხვა განწყობილება ჰქონდა და თავისი უცვლელი აკადემიური მსჯელობა გამოიყენა იმისათვის, რომ „კავკაზი“-ზედ ეთქვა: „დარწმუნებული ვართ, რომ მისნი მეთაურნი დიდ როლს აღასრულებენ კავკასიის პოლიტიკურ ბეჭის გადაწყვეტაში“-ო.

ამ ბედის საუკეთესო გადაწყვეტად კი მას მიაჩნია კავკასიის კონფედერაცია, რომელიც დაიცავს მონაწილეთა თავისებურობას, მეტადრე რომ: „ამ მოსაზრებით მიიჩნია „თ. გ.“-იმ საჭიროდ, თვით საქართველოს მოწყობა მის განსაკუთრებულ წარსულისა და განსაკუთრებულ თვისებათა მქონე კუთხეთა ფედერაციის, ე.ი. დეცენტრალიზაციის პრინციპზედ“-აო.

უკანასკნელ აღსარებაში კი, ამავე აკადემიურ მსჯელობას, ხშირად

იმავე სიტყვებით და წინადადებით, — მიხა წერეთელი უკვე იყენებს „კავკაზის“ მეთაურთა და მათი მუშაობის წინააღმდეგ.

ამაზე ავტორი თვითონაც გარკვეულად გვეტყვის, რომ მაშინ: „განუსაზღვრელი ნდობით ვიყავით ალჭურვილი მისი ხელმძღვანელობისადმიო“ და ეხლა კი მათ ნამდვილ გულწრფელობაში ეჭვი შეეპარა.

ეს პირადი განცდა სავსებით მისაღებია, პირადი განწყობილების შეცვლაც, მაგრამ მას არაფერი საერთო არა აქვს უცვლელ კავკასიის მეცნიერულ დემო-ეთნოგრაფიასთან.

აკადემიური მსჯელობა, თავისი ეთნოლოგიური ნაწილითაც, — რჩება ძალაში როგორიც არ უნდა იყოს მეცნიერის ურთიერთობა ამათუ იმ პირთან და როგორიც უნდა იყოს მისი პირადი უკმაყოფილება. და მართლაც ასე არის: მიხა წერეთლის ორ წერილთა შორის (1934 და 1938) აკადემიურ ნაწილში განსხვავება არც არსებობს, თუმცა ზოგი რამ მეტი, ზედმეტი, ან ნაკლები დაიწერა.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მიხა წერეთელს, რომ კავკასიის მთლიანობის მიღწევა ადვილი არ არის და ამის გასაადვილებლად კი აკადემიური მსჯელობა უნდა სწარმოებდეს სწორედ ყოველივე აღშფოთების გარეშე. მიხა წერეთლის წერილში თვით დასკვნებშიაც ბევრი რამ უდავოა, მაგალითად, რომ საჭურველ აყრილმა ქართველმა ერმა არ უნდა გულუბრყვილოდ ყური ათხოვოს რომელიმე შეიძლება მიმალულ მტერს და სხვ.

თვით აკადემიურ ნაწილში კი არის ზოგი რამ, რაც მოითხოვს განმარტებას, — ზოგთათვის იღებს სხვა გაშუქებას იმავე მეცნიერულ ნიაღაგზე, მაგალითად საყურადღებოა საქართველოს ისტორიის ფილოსიფიის ცდა... მაგრამ კავკასიის მთლიანობის თვალსაზრისით არსებობს სხვა მიღგომაც ქართულ ისტორიისადმი, აი, თუნდ ალლენის „ქართველი ერის ისტორიაში“ და სხვათა ნაწერებში...

საყურადღებოა სარწმუნოების სკითხიც, რომელმაც, სხვათა შორის, ი. ქავთარაძის ნაწერში ვერ დააკმაყოფილა „სევერნი კავკაზ“ (იხ. № 51-52, ივლისი-აგვისტო 1938 წ.)... და ბევრი, ბევრი სხვა.

ამ საკითხებზედ საჯაროდ სჯა-ბასისათვის საჭიროა საკადრისა პირობები; უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, უნდა იყოს სავსებით დაცული ის მართალი დებულება, რომ „კრიტიკიდან ცილისწამებამდე მთელი უფსკრული“ იყოს და ისიც, რომ რაც უნდა პრინციპიალური ან პრაქტიკული განსხვავება არსებობდეს კამათის დროს — უზენაეს დარგში ადამიანთა რწმენისა — უნდა იყოს დაცული უმაღლეს გრძნობათა სიფაქიზე, როგორცა სთქვა რუსთაველმა:

„უკვარდეს და გამოსცნობდეს, არცა ვისგან დაიწუნოს,
 „არცა სხვათა უწუნობდეს!“.



ს ა ღ ღ ე ბ რ ძ ე ლ ო

ყმაწვილებო, ასწით ჭიქა,
სადლეგრძელო შევსვათ გრძნობით!
ფიცი დავდოთ მეგობრობის
მამა-პაპურ მტკიცე ნდობით.

დავივიწყოთ შინა-მტრობა,
გარეშე გვყავს სახლში მტერი,
დრო შერჩევით ზარი დავცეთ
და ვადინოთ შინდის ფერი.

ყმაწვილებო, ჭიქა-ჭიქას,
სამშობლოსთვის ყველაფერი!
მტერი ისევ იგივეა,
შეცვლილი აქვს მხოლოდ ფერი!

(სოშო)

მ. ფლენტი



გადარჩენილი ლექსები

რუსის უმეცარ და ბრაზიან ცენზორის არქივში თბილისში კარგა
ხანია აღმოაჩინეს ორი ლამაზი ლექსი — ერთი ჩვენი ძვირფასი მგოს-
ნის ვაჟა-ფშაველასი, და მეორე, თავის დროზე ცნობილ და ილია ბრძე-
ნის მიერ განსაკუთრებით აღნიშნულ მწერლის დიმიტრი მაჩხანელის
(ნადირაშვილისა). რადგანაც ეს ორი მარგალიტი ქართული პოეზიისა
თითქმის უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, მეტადრე ემიგრაცია-
ში, საჭიროდ დავინახეთ ჩვენს გამოცემაში დაგვეძეჭდა. ორივე ლექსი
1887 წელს წარდგენილი იყო ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ რედაქციის
მიერ თბილისის საცენზურო კომიტეტში, რომელსაც ეს ნაწარმოები
აეკრძალა დასაბეჭდად. ჯერ პირველად მოგვყავს ვაჟას ლექსი:

მინამდე ვიყავ, ცხენს ვიჯე,
მივძრენ და მოვძრენ ზღვანიო,
ახლა თქვენ გაიმაგროდით
ქალაქი მეიდანიო...

კაცი მქნა, ქუდიც მეხუროს,
თმიან არ ვიყო ქალიო,

ტანზედ ჩამაცვა ბეგთარი
საჭირო, საომარიო.

შეგვყარნა ერთად ველზედა,
ვისაც უბედავს ძალიო;
რა მალე ვინაღირებდი,
სხვებსამც ეჭირა თვალიო.

მაშინ კი გამოჩნდებოდა,
ვისიც გასჭრიდა ხმალიო.

დიმ. მაჩიხანელის:

მთასა დიდს, მაღალ ტყიანსა
მგელკაცს გაჰქონდა ლრიალი,
წაველ და დედა ვუტირე.
ჰარალო, თარი—თურალი!

ზურგით მომქონდა მგელკაცი,
გზას დამხვდა ხალხი მრავალი.
ქალები ჩემს მზეს ლოცავდნენ.
ჰარალო, თარითურალი!

ვიღაცას თოფით მოეკლა
ღულუნა ტრედი ალალი,
მნახველნი ცოდვით ატირდნენ,
ჭირი მის მკვლელს და ვალალი!

დ.



რეპრესიები ოსმალეთში

ოსმალეთის მთავრობის გაზეთში „რესმი გაზეთ“ 1938 წლის 24 ენკენისთვის თარიღით, დაბეჭდილია:

„ვინაიდან აღმოჩენილია ცდა — გადაეჭირათ ჩვენი ქვეყანა პროპაგანდის ბაზად, რევოლუციონური და დაზვერვის ორგანიზაციისა, რომელიც მოქმდებდა ერთი ჩვენი მეგობარ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მეორე სახელმწიფოს სასარგებლოდ, — მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებით ერთმევათ ოსმალეთის ქვეშევრდომობა და გადასახლებულნი

არიან სახელმწიფოს გარედ, შემდეგი პირნი:

ალიხან კანტემირ, მემედ ხალილ გურგორენ, რკ. გზის ექსპლუატაციის უფროსი მირ ალი, აბას ოლლი სეფერ, მემედ თუგაი, თურქისტანის რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარე ოსმან ხოჯა ოლლი, ქიაზიმ აბას და ოსმან გუბე“.

ხელს აწერს ათათურქი და მინისტრთა საბჭო.

ეს დეკრეტი პოლიციამ სასწრაფოდ მოიყვანა სისრულეში და აღსანიშნავია, რომ საღვურ სირკეჯიზედ, საიდანაც ისტუმრებდნენ ზემოაღნიშნულ ტუვებს, შემჩნეული იყო საბჭოთა კონსული სტამბოლში ორი ჩეკისტით, რომელნიც, ეტყობა, ყურს უგდებდნენ დეკრეტის სწორე შესრულებას „მეგობარ სახელმწიფოს“ სასარგებლოდ.

ენკენისთვისავე შუა რიცხვებში სამართალში მისცეს, ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ადერბეიჯანელი უურნალისტი ფ. დარიალი კავკასიაზედ წერილების კრებულის „კაფდაგი“-ს მეორე გამოცემისათვის. ამ კრებულის წერილები, როგორც ორიგინალური, ისე გადაბეჭდილი „კავკაზი“-დან, ემსახურება კავკასიის დამოუკიდებლობას და ოსმალეთის საწინააღმდეგოს არათერს შეიცავს. მიუხადავად ამისა, სასამართლომ პასუხისმგებაში მისცა ბ-ნი ფ. დარიალი. სტამბოლის სისხლის სამართლის სასამართლოში, უკვე მოხდა ორი სხდომა ამ საქმეზედ და, მოსამართლეთათვის მოულოდნელად, გადაიქცა კავკასიის პრობლემის გარჩევად.

თავის დასაცავ სიტყვაში, ფ. დარიალი გაბედულად უსაყვედურებს სასამართლოს და მინისტრთა საბჭოს, ბოლშევიკურ ულლიდან განმათავისუფლებელ ბრძოლის მონათვლას — დანაშაულად. ასეთ დამნაშავედ პირველი იქნებოდა ათათურქი, რომელმაც გაათავისუფლა ოსმალეთიო. ეს არის სამლოცვო დანაშაულობა, რომელსაც ჩვენ მუდამ განვაგრძობთ, ვიდრე მიზანს არ მივაღწევთო.

სასამართლოს განაჩენი გადადებულია, დამატებითი ცნობების შესაკრებად.



უანიუვნელო ამბის ... „მიმართ“

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამა წლის მარტის ნომერში (№ 3—10) დასტამბულ ჩემს წერილში ვამტკიცებდი, რომ მთელი ქართველი და კავკასიელი ემიგრაცია არასა-კადრის პირადულ-ჯგუფურ ნიაღაგზე ამტყდარ დემაგოგიის დაწყება-მდე, სამხრეთ საზღვრების გამო ოსმალეთთან დავის ატეხის წინააღმდეგი იყო. საბუთთა შორის მოვიყვანე ამონაწერი იმ მოწოდებიდან, რომე-ლიც გამოცხადდა „თეთრი გიორგის“ 1933 წ. სექტემბრის № 68-ში, მაშინ ახლად დაარსებულმა ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციამ. მე ამასთანავე დავასახელე ორგანიზაციის დამაარსებელთაგან „თეთრი გიორგის“ ნომერში დაბეჭდილ სიის თანახმად მხოლოდ ის პირნი, რო-მელთა აზრი დავის საგანზე სწორედ საგულისხმო არის ამ უამად. მოსა-ლოდნელი იყო, თუ ვისმე დასახელებულთაგანს აზრი შეცვლილი ჰქონ-და, ის სრულიად დაუფარავად ამას საჯაროდ გამოსთქვამდა. მაგრამ გამოჩენდა ორი კაცი, რომელთაც ხმა ამოიღეს, არსებითად თვით საგან-ზე არა სთქვეს რა და მხოლოდ უარპყვეს თავიანთი მონაწილეობა ქ. ნა-ციონალისტთა ორგანიზაციის დაარსებაში. თუ ეს ასე იყო, მაშინ ეს სა-ზედური ჩემდამი კი არ უნდა მოემართათ, რომელიც არაფერ შუაში ვარ, არამედ მოწოდების გამომცხადებელ ქ. ნაც. ორგანიზაციისათვის, რომლის მისამართი ნაჩვენებია თვით მოწოდება-რეზოლუციის ბოლოს, სახელდობრ ორგანიზაციის მაშინდელ თავმჯდომარის პატივცემულ ბ. ტ. მარგველაშვილისა. მერე ეს თავიანთი უარყოფა მათ ახლა კი არ უნდა გამოეცხადებინათ, ე.ი. ხუთი წლის შემდეგ, არამედ მაშინვე, რა-კი ასე უსიამოვნოდ და უხერხულად მიაჩნდათ ამ საქმეში გარევა. მაგ-რამ ეს დაწესებულება, გერმანიაში ახლანდელ წესწყობილების დამყა-რებასთანავე დაარსებული, არც დასაწუნია თავის თავად და არც და-სგმობი, იგი ახლაც არსებობს. მას მეთაურობს ქ. ახალშენის ყოფილი თავმჯდომარე ბ. რომან მკურნალი — ჩემი არა შორეული პირი. მაშა-სადამე ვერავინ დამწამებს, ვითომ მე რაღაცა მზაკვრული განზრახვა მქონდეს ორგანიზაციის და მონაწილეთა გასაწილებლად. მე თუ უარი ვსთქვი მონაწილეობაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ წინააღმდეგი ვიყავი განსაზღვრულ პოლიტიკურ ორგანიზაციის დაარსებისა. მსურდა ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც გააერთიანებდა არა მარტო გერმანიაში მყოფ ქართველობას, არამედ მთელ ქართველ ემიგრაციას. სწორედ ეს აზრი იყო გატარებული დაარსების დღეს გამართულ სხდომაზე წაკი-თხულ ჩემს მოხსენებაში. დიდი უმრავლესობა არ დამეთანხმა და მეც ჩამოვშორდი. ჩემი უარი იქვე კრებაზე განვაცხადე. ჩემთან ერთად გა-დაჭრილი უარი სთქვეს დ. სალირაშვილმა და ალ. კორძაიამ. ამათ ჰქონ-დათ საკუთარი პრინციპიალური მოსაზრებანი. როგორც ყოველთვის მე აღწერილი მაქვს ეს სხდომა. არსებობს, რასაკვირველია, სხდომის

ოქმიც, სადაც მონაწილენი და მათი კამათი აღნიშნულია. მე ის არ შე-
ჰქოდვენია, მაღლობა ღმერთს, რომ ვინმემ რამე დამწამოს. თუ იქ რა-
მე სიყალბეა, მოპეიოთხონ მათ, ვინც უშუალოდ განავებდა ამ საქმეს, მე
რა შუაში ვარ?! მე არა ვცდები. ყველანი და თვით ოქმიც დამიმოწმე-
ბენ, რომ დამაარსებელ სხდომას 1933 წელს 10 ივნისს დაესწრნენ ორი-
ვენი, როგორც ალექსანდრე ნიკურაძე, ისე მიხეილ ყაუხჩიშვილი. უკა-
ნასკნელი არა მარტო, არამედ თავის მეუღლით, დიდათ პატ-ლ ქ-ნ ელე-
ნეთი. ვილლი ყაუხჩიშვილზე მითითებს ბ-ნი მიხეილი და აღნიშნავს,
რომ მე მას კარგად ვიცნობ. დიალ! კარგად ვიცნობ სხვებთან ერთად
და იმიტომ ვაცხადებ, რომ „თეთრ გიორგის“ სიაში ვილლი კი არ არის
ნაგულისხმევი, არამედ მიხეილი. ყველამ კარგად უწყის, რომ სიმპატი-
ური ახალგაზრდა მხატვარი პოლიტიკას უფრთხის და ამიტომაც იმ
კრებას არც კი დასწრებია. ხმის ჩამოტარების დროს პოლიტიკურ ორგა-
ნიზაციის დაარსების წინააღმდეგ არც მიხეილ ყაუხჩიშვილს და არც
ალ. ნიკურაძეს, რომელნიც იმ სალამოს ორატორობდნენ, უარი არ გა-
ნუცხადებიათ. მერე არ უნდა დავივიწყოთ „თეთრმა გიორგიმ“ უბრა-
ლო თავის საგაზეთო ცნობა კი არ გამოაქვეყნა, არამედ ორგანიზაციის
მიერ გამოგზავნილი აუტენტიური საბუთი. მაშ რაშია საქმე?! ყველამ
კარგად უწყის, რომ ჩემ წერილში აღნიშნულ პირებს პატივს ვსცემ,
მაშასადამე რა ბრალი მიმიძლვის მათ წინაშე?!... ეს, რა თქმა უნდა ემი-
გრაციის აუტანელ სულისკვეთების ბრალია, თორემ უბრალო უმნი-
შვნელო ამბავს როგორ გახდიდნენ საკამათო საგნად და დაიწყებდნენ
რედაქციებსა და მათ მახლობელ პირებთან მწყრალ და პანიკურ წე-
რილების გზავნას?! ორივეს უნდა მოვახსენო: მე ყოველთვის „ძველი
გზის“ და „ძველი მეგობრის“ მიმდევარი ვყოფილვარ. ამ ქართული
მცნებისათვის არ მიღალატნია და ამიტომ მზადა ვარ არა მარტო ეს
უმნიშვნელო ამბავი, სამშობლოს გარედ ჩვენი ყოფნის დამახასიათებე-
ლი, არამედ მთელი ჩვენი პირადული ურთიერთობა სინიდისის სამარ-
თლის საგნად გავხადო, უკეთუ ამას მოიწადინებენ ჩემი მოქმედების
წუნის დამდებნი. ამასვე მოვახსენებ ყველა სხვა მკილავთაც. ერთხელ
უნდა დაშოშმინდეს აწ ალორძინებულ დიდ გერმანიაში მცხოვრები ქა-
რთველობა, რომ მისცეს სხვა თავის მოძმეებს მაგალითი გონიერი და
ლირსეული ქცევისა და საქმიანობისა.

მამულიშვილური სალამით გრიგოლ დიასამიძე

ბერლინი, აგვისტო 1938 წ.

*) ეს წერილი უნდა დაბეჭდილიყო აგვისტოს ნომერში. დაგვიანე-
ბით იბეჭდება ავტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო.

რედაქცია

ზურაბ ავალიშვილის ახალი წიგნი
 დაიბეჭდა და გამოვიდა ზურაბ ავალიშვილის ახალი წიგნი:
 თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი
 და მისი პოემა
 „ ფ ა მ ე ბ ა ჩ ე თ ე ვ ა ნ დ ე დ ღ ფ ლ ი ს ა “

დამატება:

ს ა მ ი ი ს ტ რ ი უ ლ ი ს ა ბ უ თ ი

ბ-ნ ზ. ავალიშვილის წიგნს, — რომლის ცალკე ნაწილები უკვე და-
 ბეჭდილი იყო უურ. „კავკასია“-ში და სხვა პერიოდულ გამოცემებში, —
 წინ უძლვის ფრიად საინტერესო შინაარსისა და ისტორიულადაც საყუ-
 ჩადლებო შესავალი, რისთვისაც პატივცემულ ავტორს უსარგებლნია
 ახლად აღმოჩენილ ძვირფასი მასალებით.

წიგნის ფასი 10 ფრანკი. შეძენა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Mr. J. Gvaramadzé, 73, rue Froidevaux Paris, (14°).

მიიღება ხელის მოწერა 1938 წლის უურნალ
 წელიწადი მესამე „ კ ა ვ კ ა ს ი ს “ -ზედ წელიწადი მესამე
 დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

უურნალი მიზნად ისახავს კავკასიის უცხო ოკუპაციისაგან
 განთავისუფლებას კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს
 შექმნას კონფედერაციის საფუძველზედ.

ფიქრობს რა უურნალი, რომ კავკასიის პოლიტიკური დამო-
 უკიდებლობის და კულტურულ - ეკონომიკური წინსვლის უზ-
 რუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოს
 საზუძველზედ, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ
 სოლიდრობის ნიადაგზედ, იგი გაუწევს მედგარ ბრძოლას ყვე-
 ლა ანტიეროვნულ ძალას და ყველაზედ უწინარეს ინტერნაც-
 ინალიზმსა და მარქსიზმს ბოლშევიკური სახით იქნება იგი გა-
 მოსახული თუ მნშევიკური.

გამოწერის პირობები :

	1 წლით	6 თვით	3 თვით
საფრანგეთში	36 ფრ.	18 ფრ.	9 ფრ.
უცხოეთში	38 ფრ.	19 ფრ.	9 ფრ. 50

რედაქციის მისამართი :

Mr. Joseph Gvaramadzé 73, rue Froidevaut, Paris 14°.